საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 43 (63) | სამშაბათი, 5 მარტი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

„საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სისტემის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ 1990 წლის 18 აგვისტოს კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის სათაურსა და ტექსტში სიტყვა „საქართველოს" შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის".

2. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ის პირნი, რომლებიც შედიან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების შემადგენლობაში, გარდა მათი თავმჯდომარეებისა, მათი მოადგილეები, საქართველოს რესპუბლიკის, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობის სხვა რესპუბლიკურ ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, პირნი, რომლებიც შედიან საკრებულოების აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობაში, გარდა გამგეობის თავმჯდომარისა (გამგებლისა), პრეფექტურის, მის უწყებათა, განყოფილებათა და სამმართველოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, პრეფექტისა და მისი მოადგილის გამოკლებით, მართლმსაჯულების ორგანოებში არჩეული პირები, საქართველოს რესპუბლიკის, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო არბიტრები და სახელმწიფო არბიტრები, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი, მისი მოადგილეები, ქვემდგომი პროკურორები და მათი მოადგილეები, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები არ შეიძლება იმავდროულად იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები".

3. მე-17 მუხლში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების" შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების".

4. 22-ე მუხლში:

მეორე ნაწილში სიტყვები „რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა) საბჭოების, პრეზიდიუმების ან აღმასრულებელი კომიტეტების" შეიცვალოს სიტყვებით „ხელისუფლებისა და მმართველობის რაიონული და საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა) ორგანოების";

მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კომისიის კიდევ თითო წევრს ნიშნავენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები არჩევნებამდე არა უგვიანეს 53 დღისა";

მერვე ნაწილში სიტყვები „უზენაესი და ადგილობრივი საბჭოების ოფიციალურ ორგანოებში" შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს უზენაესი საბჭოსა და ხელისუფლების და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში".

5. 24-ე მუხლში:

მეორე ნაწილში სიტყვები „რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული, საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა), ქალაქის რაიონული საბჭოების პრეზიდიუმების ან აღმასრულებელი კომიტეტების" შეიცვალოს სიტყვებით „ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამისი რაიონული, საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და ქალაქებისა, რომლებსაც აქვთ რაიონული დაყოფა), ქალაქის რაიონული ორგანოების";

6. 26-ე მუხლში;

მეორე ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების პრეზიდიუმების ან აღმასრულებელი კომიტეტების" შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების";

7. 28-ე მუხლში;

მეორე ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოების პრეზიდიუმებს ან აღმასრულებელ კომიტეტებს" შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს";

მეოთხე ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოს პრეზიდიუმის ან აღმასრულებელი კომიტეტის" შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების";

8. 29-ე მუხლში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა საბჭოების, მათი პრეზიდიუმების, აღმასრულებელი კომიტეტების" შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების";

9. 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა აღრიცხვას და საუბნო საარჩევნო კომისიებს გადასცემენ შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა შესახებ იმ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგენად".

10. 48-ე მუხლში:

მეხუთე ნაწილში სიტყვები „ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების" შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების";

მეექვსე ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების" შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების".

11. 61-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ პარტიულ სიაში უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში ცვლილება შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი უზენაესი საბჭოს წევრი ან დეპუტატობის კანდიდატი პარტიული სიიდან მოიხსნება. ასეთ შემთხვევაში პარტიულ სიაში შესაბამისი ადგილი უქმდება.

პარტიულ სიებში დარჩენილ პირებს არჩევნების დამთავრების შემდეგ აღარა აქვთ დეპუტატობის კანდიდატის სტატუსი. ამ სტატუსს ისინი იძენენ ახალი არჩევნებისათვის საარჩევნო ოლქში რეგისტრირების შემდეგ ან ამ მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრულ შემთხვევაში ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის მისი კანდიდატურის წარდგენის შემდეგ.

პარტიული სიიდან უზენაესი საბჭოს წევრი ან დეპუტატობის კანდიდატი იხსნება შემდეგ შემთხვევებში:

ა) უზენაესი საბჭოს წევრის მიერ დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე მოხსნისას ან დეპუტატობის კანდიდატის ანალოგიური განცხადების საფუძველზე;

ბ) უზენაესი საბჭოს წევრის (დეპუტატობის კანდიდატის) მიმართ გამამტყუნებელი სასამართლო განაჩენის ძალაში შესვლისას;

გ) უზენაესი საბჭოს წევრისათვის (დეპუტატობის კანდიდატისათვის) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის ჩამორთმევისას;

დ) უზენაესი საბჭოს წევრის გაწვევისას.

იმ შემთხვევაში, როდესაც უზენაესი საბჭოს წევრი ისეთ თანამდებობაზე დაინიშნება, რომელიც კანონით შეუთავსებელია უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსთან, მისი უფლებამოსილება წყდება, მაგრამ პარტიული სიიდან იგი არ იხსნება.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში ცალკეულ დეპუტატთა უფლებამოსილება ბათილად იქნა ცნობილი, აგრეთვე უზენაესი საბჭოს წევრის გადადგომის ან სხვა მიზეზების გამო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, შესაბამის საარჩევნო ოლქებში მაჟორიტარული წესით არჩეული უზენაესი საბჭოს წევრის გამოკლების მომენტიდან სამი თვის ვადაში ეწყობა ახალი არჩევნები. არჩევნებს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს ორი თვისა და იგი ეწყობა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. ამასთან, საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება არჩევნებამდე ერთი თვით ადრე.

თუ უზენაესი საბჭოს გამოკლებული წევრი არჩეული იყო პროპორციული წესით, უზენაეს საბჭოში მის ადგილს იკავებს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) მიერ პარტიული სიიდან შერჩეული დეპუტატობის კანდიდატი, რისთვისაც პარტიის ხელმძღვანელმა პირმა (ბლოკში გაერთიანებული პარტიების უმრავლესობის ხელმძღვანელმა პირებმა) განცხადებით უნდა მიმართონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს დეპუტატობის კანდიდატის თანხმობა.

დეპუტატის უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას ცენტრალური საარჩევნო კომისია წარუდგენს უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის კომისიას 2 კვირის ვადაში.

თუ პარტიულ სიაში დეპუტატობის მეტი კანდიდატი აღარ არის, დეპუტატის ეს ადგილი უქმდება.

თუ მაჟორიტარული წესით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი გამოაკლდა უზენაესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ერთ წელზე ნაკლებ დროში, გამოკლებულის ნაცვლად საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატის არჩევნები არ ეწყობა".

II. ეს კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 27 თებერვალი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ისარგებლა რა „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით მინიჭებული უფლებით და განმარტა რა ხსენებული კანონის 41-ე მუხლის მე-9 ნაწილის დებულებები, დაადგინა:

1. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება ერთდროულად წარდგენილი იყოს დეპუტატობის კანდიდატად ორზე მეტ საკრებულოში.

2. თუ ერთი და იგივე პირი ერთდროულად რეგისტრაციაში გაატარეს დეპუტატობის კანდიდატად ორზე მეტ საკრებულოში, მაშინ მას შესაბამისი ადგილობრივი, ტერიტორიული ან ცენტრალური საარჩევნო კომისია მოხსნის არჩევნებიდან.

საქინფორმი

საზღვარგარეთ

რატომ?!

— **ცხინვალიდან** გამოქცეულმა თორმეტმა ქართველმა ქალმა 25 თებერვალს მოსკოვში, საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში დაიწყო შიმშილობა. მათი მოთხოვნა ასეთია: შეწყდეს სამხრეთ ოსეთში ძალადობა, აილაგმონ სამაჩაბლოში ოსი ექსტრემისტები, — გვითხრა ეროვნული პარლამენტის წევრმა ვალტერ შურღაიამ.

შეუძლებელია არ შეგძრას თანამემამულეთა ტრაგიკულმა სახეებმა. მოშიმშილეთა შორის არიან დედა-შვილი მზია და მაია კახნიაშვილები. 19 წლის გოგონა გვიამბობს, როგორ ავიწროებდა მას დირექტორი, საუბედუროდ, ქართველი, ნელი ჩხეიძე (ოსის მეუღლე). არ აძლევდა ქართულად ლაპარაკის უფლებას, აშინებდა და ემუქრებოდა...

სამოც წელს გადაცილებული თამარ ბურნაძე, ორი ვაჟკაცის დედა თვალცრემლიანი იგონებს: შუაღამისას დაგვესხნენ თავს ოსი ექსტრემისტები. დალეწეს შუშაბანდი, შემოცვივდნენ სახლში, კარის ურდულს დაუწყეს მტვრევა, ოთახის კარს მაგიდები მივადგით და ნამდვილი ბარიკადები აღვმართეთ, რომ შიგნით არ შემოეღწიათ. მომხდურები უშვერი სიტყვებით გვლანძღავდნენ, გვიყვიროდნენ — წაეთრიეთ აქედან, თორემ ამოგხოცავთო. როგორც იქნა, მილიციაში დავრეკეთ, მაგრამ სანამ ისინი მოვიდოდნენ, ექსტრემისტები გაიქცნენ. წესრიგის დამცველთ ვუამბეთ და ვაჩვენეთ რა მოიმოქმედეს შეიარაღებულმა ავაზაკებმა, მათი მანქანის ნომერიც კი გადავეცით, მაგრამ გამომძიებელმა ვალია ვალიევამ ყურიც არ გვათხოვა, აქეთ მოგვედავა, გვითხრა, არავინ არ დაგესხმიათ თავს, პროვოკაციებს აწყობთო. როცა მივხვდით, სამართალს ვერ ვიპოვიდით, ბანდიტები კი წარა-მარა გვირეკავდნენ და გვაფრთხილებდნენ, თუ არ წაეთრევით, თქვენს სახლს ცეცხლს წავუკიდებთ და შიგ ამოგბუგავთო. მოხუცებმა დავტოვეთ მთელი ცხოვრების ნაჯაფარი; მეუღლე თბილისში შვილებთან გადაბარგდა, მე კი პროტესტის ნიშნად მოსკოვში ჩამოვედი;

თინა ქრისტესიაშვილი, ლილი ბაბუციძე, ელზა მარტიაშვილი, ნელი კახნიაშვილი, გიული დეკანოზიშვილი, ჟუჟუნა ცოტნიაშვილი, ნაზი და მაია ჯაბაშვილები, ირმა კომსიანი ერთმანეთს არ აცლიან და გვიამბობენ: ოსები ქართულად ლაპარაკს გვიკრძალავდნენ, ჩვენს მშობლიურ ენას „ძაღლის ენას" ეძახდნენ. — თქვენ ოსების მიწაზე ცხოვრობთ და არა საქართველოში, თუ არ გაეცლებით აქაურობას, ამოგწყვეტავთ, შვილებს აგიკუწავთ, სახლებს დაგიწვავთო, გვეუბნებოდნენ. პირობა შეასრულეს კიდევაც... ასე გამოგვრეკეს მშობლიური კუთხიდან, რაც გვქონდა, წაგვართვეს, გაგვძარცვეს... ოსი ყაჩაღები ასე თამამად იმიტომ იქცევიან, რომ მათ შინაგანი ჯარი უჭერს მხარს, იარაღითაც ამარაგებენ. რაც შეეხებათ ოს ლტოლვილებს, რომლებზეც ასე „გულდამწვარი" გვაუწყებს პროგრამა „ვრემია", ვლადიკავკაზში ისინი იმიტომ მიიჩქარიან, რომ თან მიაქვთ ჩვენი ოჯახებიდან გატაცებული ნივთები და იქ ინახავენ საიმედოდ.

როცა უსმენ მოშიმშილეებს, გული გეთუთქება, მაგრამ შენი ერის მიმართაც გიჩნდება პრეტენზია — რატომ დავისვით ასე თავზე ჩვენს ჭერს შეფარებულები, და ჩვენი ლუკმით დაპურებულები. რატომ გავათავხედეთ, რატომ მივეცით განუსაზღვრელი უფლებები, რატომ?

კლარა აგრამია,
ჩვენი საკ. კორესპონდენტი.
მოსკოვი. 1 მარტი.

* * *

სურათზე: მოშიმშილენი.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

დეპუტატის განცხადება

კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო!

საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის 29 იანვრის სხდომაზე ბატონმა ზვიად გამსახურდიამ სრულიად სამართლიანად გამოთქვა ეჭვი იმის გამო, რომ თურქეთ-საქართველოს ფაქტობრივად დაუცავ საზღვარზე (მას ჯერჯერობით რუსის ჯარი „იცავს"! ა. კ.) დანაშაულებრივი განუკითხაობა სუფევს. ექსტრემისტებს შემოაქვთ იარაღი (რომელიც გადის ოსეთში და აფხაზეთში!), აყალბებენ ვიზებს და სხვა (ჩვენ ისიც ვიცით, რომ თურქეთში გამსვლელთა უმრავლესობა, რა თქმა უნდა, აჭარის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს. ა. კ.).

ამავე სხდომაზე ჩემს გამოსვლაში აღვნიშნე, რომ, თუ სარფის საბაჟოში წესრიგს არ დავამყარებთ, ერთ დროს ზარზეიმით გახსნილი სარფის გზა ვაითუ საქართველოს მეორე როქის გვირაბად ექცეს-მეთქი (საგანგებოდ ვამბობ, ამ კონტექსტში საერთოდ არ მიხსენებია აჭარა! ასეთ პარალელს მხოლოდ საქართველოს მტერი გაავლებდა). აქვე გამოვთქვი სურვილი, შეგვექმნა სარფის საბაჟოს მუშაობისა და მთლიანად სარფის გზაზე არსებული პრობლემების შემსწავლელი სადეპუტატო კომისია. ეს იყო და ეს. მაგრამ, როგორც შევიტყვე, საეჭვო მიზნებით შეპყრობილმა ადამიანებმა, ისარგებლეს რა იმით, რომ ზემოთაღნიშნული სხდომა ტელევიზიით არ გადაიცემოდა, ბატონი ზვიად გამსახურდიას და ჩემი გამოსვლის ტექსტები ერთობ გაუკუღმართებული ქვეტექსტებით გაავრცელეს აჭარაში, რასაც, ბუნებრივია, მოსახლეობის ერთი ნაწილი გაუნაწყენებია. ვფიქრობ, ვიღაცა ძალიან ცდილობს რაღაც უნდა დაუჯდეს ნებისმიერ მიზეზს ჩაეჭიდოს, ოღონდ აჭარის უზენაესი საბჭოს და მუნიციპა[illegible]რჩევნების წინ სახელი გა[illegible] „მრგვალი მაგიდის" წე[illegible] ჩემი ღრმა რწმენით, ესენი იგივენი არიან, ვინც 28 ოქტომბერს აჭარაში კომუნისტებს გაამარჯვებინა და ახლა საიდუმლო დანაპირებს ელოდება. მათ სურთ ეროვნული პარლამენტის საწინააღმდეგოდ განაწყონ აჭარის მოსახლეობა. ხოლო ამგვარი კონფრონტაცია ვის წისქვილზე მიუშვებს წყალს, ყველასათვის ნათელია.

რაც შეეხება ზემოთაღნიშნული კომისიის შექმნის იდეას, მას დეპუტატთა უდიდესმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. თუმცა იყო ისეთი კრიტიკული შენიშვნებიც (მათ შორის კურიოზული და უტაქტოც!), რომელთა ერთი ნაწილი პირადად ჩემთვის და დეპუტატთა უმრავლესობისათვის გაუგებარი დარჩა. სამაგიეროდ, უყოყმანოდ გაიზიარეს წინადადება იმის შესახებ, რომ კომისიას შეესწავლა საზღვარგარეთული პასპორტებისა და საბაჟოს პრობლემები არა მარტო ბათუმის, არამედ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. ასევე გაიზიარეს შენიშვნა კომისიაში აგვერჩია რაც შეიძლება კომპეტენტური დეპუტატები.

იმედია, ამ განცხადების შემდეგ მაინც გახდება ყველასათვის ნათელი ჩვენი კეთილშობილური მიზანი — თურქეთ-საქართველოს საზღვარზე სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარება, რასაც დამერწმუნებით, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ — მთელი საქართველო ელოდება. ხალხს ქრთამის გაღება უხდება, რომ პასპორტები აიღონ! ამის დასტურია მოქალაქეთა ის მრავალრიცხოვანი წერილები, რომლებიც იბეჭდება რესპუბლიკის პრესაში და მათგან შეგვეძლო გამოგვეყო გაზეთ „თბილისის" 22 თებერვლის პუბლიკაცია ამ საკითხის ირგვლივ.

არც ერთ ქართველს არსაიდან არ უნდა ისეთი გზა, რომლის ფარული ბილიკებითაც პოლიტიკური, ეკონომიკური თუ მორალური ზარალი შემოგვეპარება! და ეს პირველ რიგში არ უნდა თვით მრავალტანჯულ აჭარის მოსახლეობას, რომლის მაღალი პატრიოტული სულისკვეთებაც პირადად შემიძლია დავადასტურო თუნდაც იმით, რომ როგორც დეპუტატობის კანდიდატი, სწორედ მშობლიურ ქობულეთში ვიყრიდი კენჭს და ჩემდა საბედნიეროდ, ურთიერთსიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის მეტი არაფერი გვქონია ერთმანეთთან მე და ჩემს ამომრჩევლებს. ამას ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით და იმის იმედით, რომ დაინტერესებულ პირებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეამოწმონ ჩემი განცხადების სისწორე ზემოაღნიშნული საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან, მათ შორის ჩემს ოპონენტთა წრეშიც, თვით კომპარტიის კანდიდატის ჩათვლით!

რაც შეეხება ამომრჩეველთა უნდობლობას, ამის სამაგალითოდ აქვე გთავაზობთ უზენაესი საბჭოს სახელზე გამოგზავნილ დეპეშას.

აი ყველაფერი იმის შესახებ, რამაც ჩასაფრებული პირების ხელშეწყობით გაუგებარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

მართლაც რომ, ბრძნულად უთქვამს ჩვენს ხალხს — კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო!

ამირან კალაძე,
მწერალი, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი.
28.2.91 წ.



მინისტერსტვო სვიაზი გსსრ / МИНИСТЕРСТВО СВЯЗИ ГССР

გადაცემა ПЕРЕДАЧА

დეპეშა
ТЕЛЕГРАММА

```
212911 ГОНИО 69 73 26/2 1130-
ШЕТКОБИНЕБА ДЕПЕШИТ ТБИЛИСИ САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКИС УЗЕНАЕСИ САБЧОС
ТАВДЖОМАРЕС БАТОН ЗВИАД ГАМСАХУРДИАС -
АСЛИ ГАЗЕТ САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКАС-

ХЕЛВАЧАУРИС РАИОНИС ГОНИОС САШУАЛО СКОЛАШИ ЧАТАРЕБУЛИ МИТИНГИС
МОНАЦИЛЕТА МИМАРТВА БАТОНО ЗВИАД КВЕЛА КАРГАД ВХЕДАВТ РАОДЕН
МОГИМРАВЛ-
ДАТ МТЕРИ АМАС ЕМАТЕБА КАРТВЕЛ МОГАЛАТЕТА МОКМЕДЕБАЦ РАЦ
ГВАИДЗУЛЕБС
МОГМАРТОТ БАТОНИ ГИВИ ГУМБАРИДЗЕ РОМЕЛИЦ УЗЕНАЕСИ САБЧОШИ ГАВИДА
ХЕЛВАЧАУРИС СААРЧЕВНО ОЛКИДАН МИЧНЕУЛИ ИКНАС ХАЛХИС МЦАРЕ МОТКУЕБАД
ДА ГАМОЦВЕУЛИ ИКНАС ГОНИОС САШУАЛО СКОЛАШИ ЧАТАРЕБУЛИ МИТИНГИС
МОНАЦИ-
ЛЕБИ МАСЦАВЛЕБЛЕБИ ДА МОСЦАВЛЕЕБИ-
```

გთავაზობთ დეპეშის ქართულ ვარიანტს

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი

საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას

ასლი — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას"

ხელვაჩაურის რაიონის გონიოს საშუალო სკოლაში გამართული მიტინგის მონაწილეთა მიმართვა.

ბატონო ზვიად! ყველა კარგად ვხედავთ რაოდენ მოგიმრავლდნენ მტრები. ამას ემატება ქართველ მოღალატეთა მოქმედება, რაც გვაიძულებს მოგმართოთ. ბატონი გივი გუმბარიძის არჩევა, რომელიც უზენაეს საბჭოში გავიდა ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქიდან, მიჩნეულ იქნა ხალხის მწარე მოტყუებად და საჭიროა მისი გამოწვევა.

საშუალო სკოლაში გამართული მიტინგის მონაწილე მასწავლებლები და მოსწავლეები. 26 თებერვალი.

კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეაში აზრთა სხვადასხვაობაა საქართველოსთან დაკავშირებით

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო ჩეჩენთა დელეგაციის დეპეშა, რომელსაც ხელს აწერენ კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის საკოორდინაციო საბჭოს წევრები უ. ვ. არსამიკოვი და ს. ხ. აბუმუსლიმოვი. დეპეშაში ნათქვამია:

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობასთან იმის შესახებ, რომ კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეამ საქართველოს მთავრობას მიმართა მოთხოვნით გაიყვანოს ქართული მილიცია სამხრეთ ოსეთიდან და დაიწყოს მოლაპარაკება ამ უკანასკნელის სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნობის თაობაზე, ჩეჩენთა დელეგაციას არავითარი კავშირი არა აქვს. ჩეჩენთა დელეგაციამ მტკიცედ გაილაშქრა საქართველოსა და აფხაზეთში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების შეყვანისა და კავკასიის ხალხთა საქმეებში ცენტრის ჩარევის ნებისმიერი ცდის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ჩეჩენთა დელეგაციამ მტკიცედ მოითხოვა ბოიკოტი გამოუცხადონ 17 მარტის რეფერენდუმს.

დეპეშის პირი გაეგზავნა ტელერადიომაუწყებლობის კომპანიის თავმჯდომარეს.

საქინფორმი.

სხვა გაზეთიდან

ერთი ანბანური ჭეშმარიტების თაობაზე

ვითარება, რომელიც მხედრიონის უკანონო საქმიანობის გამო წარმოიშვა საქართველოში, იმითაც უნდა იყოს განპირობებული, რომ ერთობ დაბალია მოსახლეობის ცალკეული ფენების სამართლებრივი და პოლიტიკური კულტურის დონე. ანდა, ეს აზრი სხვაგვარადაც შეიძლება გამოვხატოთ. რესპუბლიკის ბევრ მოქალაქეს ნათლად არა აქვს წარმოდგენილი კანონის მოთხოვნა და, რაც მთავარია, ეს მოთხოვნა არ აქვს გათავისებული როგორც პირადი ქცევის წესი. შეიძლება აქ ჩვენც ვცოდავთ, მე მხედველობაში მყავს ისინი, ვინც მოწოდებულია ფართოდ და ღრმად განუმარტოს რესპუბლიკის მოქალაქეებს კანონის შესრულების მნიშვნელობა, განუმარტოს ის, რომ სწორედ კანონის, ნორმატიული წესების საშუალებით იქნება შესაძლებელი საზოგადოებაში ნორმალური წესრიგის, ანუ მართლწესრიგის დამკვიდრება. თუ სიტყვა არ გამიჭიანურდა, მინდა ვთქვა, რომ ამ მხრივ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო ჩვენს პრესას და, რასაკვირველია, ტელევიზიას. მოკლედ რომ მოვჭრათ, რატომ არ შეიძლება, ვთქვათ, ტელევიზიაში შემოგვეღო საუბრების ციკლი სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალურ საკითხებზე.

ზემოთქმულს გარკვეული მიზეზი და საფუძველი აქვს, კერძოდ, აი რა: დღეს საზოგადოებაში გაისმის ხმები, რომ კანონიერად არჩეული ხელისუფლების გვერდით შეიძლება მოქმედებდეს მეორე, პარალელური ხელისუფლება თავისი შეიარაღებული ფორმირებებით. თავისთავად საკითხის ამდაგვარი დაყენება ნათლად ადასტურებს, თუ რამდენად მოჩვენებითია მავანისა და მავანის მიერ უსაშველოდ გაჭიანურებული საჯარო მონოლოგები თუ დიალოგები, რომ ჩვენ ევროპული ცივილიზებული კულტურით ნასაზრდოები ხალხი ვართ.

მაგრამ ევროპაში, აზიაში და საერთოდ კონტინენტის ნებისმიერ სახელმწიფოში, იქ არსებულ ოფიციალურ ხელისუფლებას, პარლამენტებს წარმოუდგენლად მიაჩნიათ შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ე. წ. პარალელური ხელისუფლების არსებობა. გადაშალეთ ნებისმიერი სახელმწიფოს კონსტიტუცია, სისხლის სამართლის კოდექსი, და სულ ადვილად დარწმუნდებით, რომ ყოველგვარი ცდა, არსებულ ოფიციალურ ხელისუფლებას დაუპირისპირდეს რაიმე შეიარაღებული გაერთიანება ხელისუფლების დაპატრონების მიზნით, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად ითვლება და ამიტომ უმკაცრესად ისჯება.

არც შეიძლება სხვაგვარად იყოს. სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშან-თვისებაა მისი სუვერენობა ანუ უზენაესობა ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებში. კანონიერი წესით შექმნილი სახელმწიფო ხელისუფლების აქტებს ქვეყნის საშინაო საქმეებში უნივერსალური მნიშვნელობა აქვს, ე. ი. ეს აქტები უთუოდ უნდა შეასრულოს ყველა მოქალაქემ, ნებისმიერმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ თუ პოლიტიკურმა პარტიამ. უფრო მეტიც, მხოლოდ ხელისუფლებას აქვს სახელმწიფო ნების განხორციელებლად შექმნილი სახელმწიფო მექანიზმი — საკანონმდებლო ხელისუფლება, მმართველობა და სასამართლო. რასაკვირველია, სახელმწიფო ხელისუფლების ნების განხორციელებას ემსახურება მის გამგებლობას დაქვემდებარებული შეიარაღებული ძალები, მილიცია და ა. შ.

ის, რაც აქამდე ითქვა, ანბანურ ჭეშმარიტებად ითვლება სახელმწიფოს და სამართლის თეორიაში.

ანბანურ ჭეშმარიტებად ითვლება ისიც, რომ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს ყოველგვარი მოქმედება, რომელიც მიმართულია არსებული ხელისუფლების ნების ძალმომრეობით შეზღუდვისა ან საერთოდ ამ ხელისუფლების ძალმომრეობით დამხობისაკენ.

დასასრულ უნდა შევნიშნო, რომ უცხოეთის სახელმწიფოებში ფართო ღონისძიებებს მიმართავენ ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ: ორგანიზებული დამნაშავეობა არ ეტევა იმ ჩვეულებრივ დანაშაულობათა ფარგლებში, რომლებსაც იცნობს სისხლის სამართლის კანონმდებლობა. ორგანიზებული დანაშაული არ გულისხმობს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენას, იგი გამოხატავს დამნაშავეთა ისეთ ფართო რეგიონალურ გაერთიანებას, რომლის მიზანია გაბმული დანაშაულებრივი საქმიანობით შეარყიოს ქვეყნის ეკონომიკა და უფრო მეტიც — შეაღწიოს ქვეყნის პოლიტიკურ მმართველობაში. ასეთ ორგანიზაციებს აქვთ თავიანთი არაოფიციალური მართვის სტრუქტურა, ორგანოები, ჰყავს ლიდერები ფუნქციების განაწილებით, უშიშროების ორგანოები, ცალკე ფონდი იმ პირთა დასახმარებლად, რომლებიც დაპატიმრების შემთხვევაში დუმილს ამჯობინებენ, და ა. შ.

ამგვარმა ორგანიზებულმა დამნაშავეობამ ყველაზე საშიში ხასიათი მიიღო იტალიაში. ამ ქვეყნის ხელისუფალნი მტკიცე საკანონმდებლო ზომებს მიმართავენ მაფიოზური და სხვა დამნაშავეობის წინააღმდეგ. ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 416-ე მუხლი. ხსენებული მუხლის თანახმად, როდესაც სამი ან მეტი პირი გაერთიანდება დანაშაულის ჩასადენად, ის ვინც ხელს შეუწყობს ან ითავებს ასეთი გაერთიანების შექმნის ორგანიზაციას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან შვიდ წლამდე. მაშასადამე, თავად ფაქტი გაერთიანების შექმნისა ასეთ მკაცრ სასჯელს იწვევს. უფრო მეტიც: თუ ამდაგვარი გაერთიანების შეიარაღებული წევრები გადაადგილდებიან სოფლად ან საზოგადოებრივ გზებზე, მაშინ მის წევრებს სასჯელად შეეფარდებათ თავისუფლების აღკვეთა ხუთიდან თხუთმეტ წლამდე. აქედან ცხადად ჩანს, რომ იტალიელი კანონმდებელი უდიდეს საშიშროებას ხედავს შეიარაღებული პირების გადაადგილებაში, თუნდაც მათ არავითარი კონკრეტული დანაშაული არ ჩაედინოთ. გარდა ამისა, სასჯელი კიდევ უფრო მკაცრდება, თუ გაერთიანების წევრთა რაოდენობა 10 კაცს აღემატება.

ასე რომ, პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენის მიზნით, უცხოური პრეცედენტების ძიება უაზროა.

გიორგი ტყეშელიაძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი.

(გაზეთი „თავისუფალი საქართველო" № 6 (11), 1 მარტი, 1991).

გამოხმაურება

რას მერჩოდა, რას მებრძოდა, რას მერქაგრეხილებოდა?

(პასუხი ლევან ღვინჯილიას წერილზე „რატომ არ უყვართ რუსებს მუხა")

წერილის ამ ნაწილში სავსებით უნდა დავიწყო ლევან ღვინჯილიას ჩემდამი დამოკიდებულება.

საქმისთვის ასე სჯობია.

დარჩეს, მეგობრებო, ერთმანეთის პირისპირ ერთი და იმავე პრობლემებზე დაფიქრებული ორი გონება, ორი ცნობიერება და გაარკვეს ტყუილ-მართალი.

ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი.

ძალიან გაუოცებია ლევან ღვინჯილია ჩემს მოსაზრებას, რომ თუკი ყველა ქართველი მუსიკოსი ამიერიდან ქართულად ილაპარაკებს, დროთა განმავლობაში შეიძლება მუსიკალურ ტერმინებს სახელები შეუცვალოს ქართულმა ენამ და ისეთები დაარქვას, როგორიც მისთვისაა ბუნებრივი.

მაგალითისთვის ვთქვი: შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ტერმინი „ვიოლინოს გასაღები" ერთსიტყვიანმა ლამაზმა სახელმა შეცვალოს-მეთქი.

ლ. ღვინჯილია ირონიულად მიწერს:

„...რუსულის გავლენისაგან სრულიად თავისუფალ, მუსიკალური ტერმინებისა და ცნებების შექმნაში დიდი გამოცდილების მქონე იტალიურშიც ვიოლინოს გასაღები რატომღაც ორი სიტყვით ყოფილა გადმოცემული: კიავე დი ვიოლინო. ბანის გასაღებიც ასევე ორი სიტყვა ყოფილა (კიავე დი ბასსო)".

ენათმეცნიერს უნდა უყვარდეს ენის ჯადოსნური ძალა და ენის მიდრეკილება სასწაულებრივი გარდაქმნებისა და ზღაპრული ფეიერვერკებისადმი.

როგორ შეიძლება რომ ენას ასე დოგმატურად, უხალისო და გაყინული თვალებით უცქეროდეს ენათმეცნიერი.

რადგან სხვებს ორსიტყვიანი აქვთ ესა თუ ის მუსიკალური ტერმინი, ამიტომ ჩვენც ორსიტყვიანი უნდა გვქონდესო, ასეთი პედანტობა როგორ იქნება!

მოდით დავითვალოთ, ბატონო ლევან, რამდენი გერმანული სიტყვაა აქ — Wald horn (ტყის საყვირი).

ორი, ხომ?

აქ რამდენი რუსული სიტყვაა — Валторна.

ერთადერთი.

ეს რუსული ერთსიტყვიანი სახელი ვალტორნა გაჩენილია" გერმანული ორსიტყვიანი — „ვალდ ჰორნ"-იდან.

რუსულმა ენამ თავის ბუნებას დაუმორჩილა მუსიკალური საკრავის გერმანული სახელი: შეაერთა ორი სიტყვა, „d" და „h" აქცია რუსულ „т"-დ და მიღებულ სიტყვას ბოლოში „a" დაუმატა.

საინტერესოა, ჩვენ რა ვქენით? ცხადია, რუსულის მიხედვით ჩვენც ვალტორნი გვაქვს.

ახლა „ვიოლინოს გასაღებს" მივუბრუნდეთ.

ლ. ღვინჯილიას ეს ტერმინი კლდესავით ურყევი იმიტომ ჰგონია, რომ „ვიოლინოს გასაღებს" ამაგრებს რუსული СКРИПИЧНЫЙ КЛЮЧ".

აი, რუსებს რომ შეეცვალათ და ერთსიტყვიანი ტერმინი შემოეღოთ, ცხადია, ჩვენც უნდა მიგვებაძა და ჩვენც ერთსიტყვიანი კალკი გადმოგვეღო. ახლა კი, რას იზამ, რუსებმა თქვეს, ორი სიტყვა უნდა იყოსო და რა უფლება გვაქვს შევეკამათოთ.

არა, ბატონო ლევან, დიდხანს აღარ გაგრძელდება ეს ამბავი. სულ მალე რუსების შუამავლობის გარეშე უშუალო კავშირს დავამყარებთ იტალიურ კულტურასთან და სულაც არაა გასაკვირი, რომ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ჩვენი მუსიკალური ურთიერთობის შედეგად იტალიური კიავე დი ვიოლინო იქცეს ერთ ლამაზ ქართულ სიტყვად.

განა მშვენიერი ქართული სიტყვა არაა „კრიალოსანი"?

აბა, შეხედეთ, სულ კრიალი გაუდის.

და ეს ერთი ქართული სიტყვა, ნუ იტყვით და, ორი ბერძნული სიტყვიდან გაჩენილა — kurie, eleeson" ანუ „უფალო შეგვიწყალე".

არა მგონია, ბერძნებს სწყინდეთ ჩვენ რომ „კრიალოსანი" გვიკრიალებს. არც იტალიელებს ეწყინებათ მათი „კიავე დი ვიოლინო"-დან თუ ერთ ქართულ სიტყვას გამოვალამაზებთ.

სხვანაირადაც შეიძლება დაერქვას ლამაზი ქართული სახელი „ვიოლინოს გასაღებს".

საუკუნეების მანძილზე ამ კოხტად დახვეულ მუსიკალურ ნიშანს ქართული ცნობიერების მქონე მუსიკოსთა მზერა რომ უალერსებს გამუდმებით ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება გაჩნდეს სასწაულებრივად ლამაზი სიტყვა, რომელიც თან ქართულიც იქნება და თან ბგერებითაც და მნიშვნელობითაც შესატყვისი იქნება ამ ნიშნისა.

რა არის აქ დაუჯერებელი?

იქნებ საუკუნეები არც დასჭირდეს და უცებ რამდენიმე წელიწადში მოხდეს ეს?

ვინ იცის.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა" № 42 (62).

ენა ისეთივე იდუმალი რამაა და იმგვარადვე მოულოდნელობებით აღსავსე, როგორიცაა თვით სამყარო და სიცოცხლე.

არის ერთი მშვენიერზე მშვენიერი საგანი, რომელსაც რუსები „საჰაერო გველს" ეძახიან — „Воздушный змей".

დავუშვათ, რომ ყველა სხვა ენაშიც ორი სიტყვითაა შედგენილი ამ საგნის სახელი. რა უნდა ვქნათ ქართველებმა? იქნებ იმას გვირჩევთ, რომ გადავაგდოთ მშვენიერი სიტყვა „ფრანი"?

ლ. ღვინჯილიას წერილის ერთ-ერთი დასკვნა ასეთია:

„მართალია ბატონი გურამი, როცა გვეუბნება, რომ ქართული ენა უნდა გათავისუფლდეს რუსულის გავლენისაგან, მაგრამ გზა ამ თავისუფლების მოპოვებისა ვერ არის დამაჯერებელი"-ო.

ჯერ ერთი, მე ვამბობ არა გავლენისაგან გათავისუფლებას, არამედ ბატონობისაგან.

ფიზიკურად ეს იმპერია არის რუსის ჯარის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების ჯამი, ხოლო სულიერად ესაა რუსული ენისა და კულტურის იმპერია. ამიტომაც უნდა ვილაპარაკოთ არა რუსული ენის გავლენაზე, არამედ ბატონობაზე.

მეორე, ლ. ღვინჯილია ვერ იმსჯელებს იმაზე, არის თუ არა „დამაჯერებელი" ის გზა, რომელსაც რუსულის ბატონობისგან თავდასახსნელად ვთავაზობ მკითხველსა თუ მაყურებელს. ვერ იმსჯელებს იმიტომ, რომ ის ვერ ხედავს თუ რაში მდგომარეობს ამჟამინდელი დაჩაგრულობა ჩვენი ენისა და ბატონობა რუსულისა.

იმ გადაცემაში ერთმანეთს დავუპირისპირე ორი სიტყვა: „ცისარტყელა" და „ვერტმფრენი".

ვთქვი, რომ „ცისარტყელა" თვით შექმნა ქართველმა.

ეს სიტყვა ქართული ენისა და ქართველი კაცის მსოფლმხედველობის ნაყოფია-მეთქი.

თვითონ შეხედა ცას ქართული ენის თვალებით ქართველმა კაცმა და „ცის სარტყლად" დაინახა ბუნების ეს მშვენიერი მოვლენა.

ასეთი დანახვა რომ ბუნებრივი იყო ქართველის მსოფლმხედველობისათვის ამის დასტურია ხალხური გამოცანა, სადაც კვლავ ასევეა დანახული ცისარტყელა:

„ერთი შვიდფერი ქამარი მზისა და წვიმის შვილია".

„ცის სარტყელი" და „შვიდფერი ქამარი" ერთი და იგივე თვალმა დაინახა. შეხე, რა სიყვარულია!

მზისა და წვიმის შვილიათ.

ახლა კი მოდით „ვერტმფრენს" მივაპყროთ მზერა.

როგორ გაჩნდა ეს სიტყვა?

გაახილა ერთხელ ქართველმა კაცმა თვალი, სახლის წინ თავისით გაჩენილი ეს საფრენი აპარატი დაინახა და წამოიძახა: უი, ვერტმფრენიო?

არა, ვერტმფრენები რუსული საბჭოთა იმპერიის ბატონობის დროს ჩამოგვიფრინდნენ მოსკოვიდან და თანაც ძირითადად ავტომატიანი ეკიპაჟებით.

ჩამოგვიფრინდნენ და სახელიც ჩამოჰყვათ — „ვერტოლიოტ".

ეს „ვერტოლიოტ" არის შედეგი რუსული ენის მსოფლხედვისა. რუსულმა ენამ და რუსმა კაცმა შეხედეს ამ საფრენ აპარატს და თქვეს: „ონ ვერტიკალნო ლეტაეტ"-ო. აქედან გაჩნდა სიტყვა „ვერტოლიოტ" ესე იგი „ვერტიკალურად მფრენი". (ერთმა ნაცნობმა გამოთქვა მოსაზრება, „Верто" სიტყვა „Вертеть"-იდან ხომ არააო, მაგრამ ეს მოსაზრება არაა სწორი, იმიტომ, რომ მაშინ ჩვეულებრივი პროპელერიანი თვითმფრინავიც „ვერტოლიოტი" გამოდის. მასაც ხომ მბრუნავი რამ — вертящийся ამოძრავებს).

რა ქნა ქართულმა ენამ და ქართველმა კაცმა? სხვა დრო ყოფილიყო, იცოცხლე მკვირცხლად და ზუსტად მოერგოთ ამ საფრენი აპარატისთვის კოხტა სახელი, მაგრამ ეს მოხდა რუსული ენის ბატონობის დროს და ამიტომ ქართულ ენას არა ჰქონდა ფიქრისა და ჯანსჯის უფლება. მას ევალებოდა მხოლოდ ერთი: გადმოეღო კალკი „ვერტოლიოტ"-იდან.

და გადმოიღო კიდეც —„ვერტმფრენი".

ლ. ღვინჯილია მეკამათება:

„ვერტოლიოტის **შესატყვისად** თავის დროზე გაკეთდა ორი სიტყვა — შვეულმფრენი და ვერტმფრენი. მათგან უპირატესად სახმარად რეკომენდებული იყო შვეულმფრენი... ქართული ენის მთავარმა სარედაქციო კოლეგიამაც შვეულმფრენს დაუჭირა მხარი, ვერტმფრენი კი ენციკლოპედიაში საერთოდ არ შეიტანა... დავიჯეროთ, რომ ეს ყოველივე ბატონმა გურამმა არ იცის? ყოვლად წარმოუდგენელია!" (ხაზგასმა ჩემია — გ. პ.)

ესე იგი, რა ხდება?

მე ვთქვი „ვერტოლიოტიდან" კალკი გააკეთეს და „ვერტმფრენი" მიიღეს მეთქი.

ლ. ღვინჯილია კი მეუბნება არა ხარ მართალი, „ვერტმფრენი" კი არა „შვეულმფრენი", გვაქვს ქართულშიო.

საქმეც ისაა, ბატონო ლევან, რომ ვერ ამჩნევთ:

არსებითი განსხვავება „ვერტმფრენსა" და „შვეულმფრენს" შორის არაა, ორივენი ერთნაირად არიან აგებულნი.

ის ამბავი, რომ სიტყვა „შვეული" ქართულია, საქმეს ვერ უშველის. ამით „შვეულმფრენი" მაინც ვერ გახდება თავისთავადი ქართული სიტყვა, ის მაინც „ვერტოლიოტის" კალკად რჩება.

„ვერტოლიოტ" — „ვერტიკალნო ლეტაიუშჩი".

„შვეულმფრენი" — „შვეულად მფრენი".

რა განსხვავებაა ამათ შორის?

არაფერი. ეს საფრენი აპარატი რუსულშიც და ქართულშიც ვერტიკალურად ანუ შვეულად მფრენია.

დარწმუნებული ვარ ლ. ღვინჯილია ბოლომდე ჯერაც ვერ მიხვდა, თუ რას ვეუბნები. ამიტომ კიდევ ერთ აზრს მოვიტან მისას და იმასთან კამათში იქნებ საბოლოოდ მივახვედრო ყველაფერს.

„ვერტალიოტის **შესატყვისი** ტერმინი ქართველმა ლექსიკოგრაფებმა შექმნეს იმ სიტყვების ანალოგიურად, რომელთაც ალბათ, თვით ბატონი გურამ პეტრიაშვილიც ყოველდღიურად ხმარობს, მხედველობაში მაქვს თვითმფრინავი, მაცივარი, სამკუთხედი და მისთანანი". (ხაზგასმა ჩემია— გ. პ.).

ამაზე იტყვიან, „ბრმა რასა ჩიოდა და ორთავ თვალსაო".

უბედურებაც ისაა, რომ ამნაირი სიტყვები ძალიან ბევრია ქართულ ენაში.

ბატონო ლევან „შვეულმფრენის" დასაცავად რომ „თვითმფრინავი", „მაცივარი" და „სამკუთხედი" მოიყვანეთ ამით, იცით, რა დაასაბუთეთ?

მხოლოდ ის, რომ თქვენი ცნობიერებაც კი — ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლისა და ენის პრობლემებზე მომუშავე ყოველკვირეული ტელერუბრიკის წამყვანისა — რუსულის, როგორც იმპერიული ენის, ტყვეობაშია.

თქვენ იცით, რომ შვეულმფრენის მსგავსად, თვითმფრინავიც, მაცივარიც და სამკუთხედიც რუსული სიტყვების კალკებია, მაგრამ ეს თქვენში პროტესტის გრძნობას არ აღძრავს.

თქვენს გონებაში ჩაბუდებულია აზრი, რომ ერთადერთი ენა, რომელსაც შეუძლია ახალ საგნებს სახელი დაარქვას, ესაა რუსული.

და ერთადერთი შესაძლებელი მსოფლხედვაც, რომელსაც შეუძლია ახალი საგანი დაინახოს, რუსულია.

დააკვირდით თქვენსავე ნათქვამს:

„ვერტალიოტის შესატყვისი ტერმინი ქართველმა ლექსიკოგრაფებმა შექმნეს" თვითმფრინავის მაცივარის და სამკუთხედის ანალოგიურადო.

შესატყვისით, ამბობთ.

შვეულმფრენიც, თვითმფრინავიც, მაცივარიც და სამკუთხედიც მხოლოდ და მხოლოდ **შესატყვისები არიან** სხვა ენის (რუსულის) სიტყვებისა და არა თავისთავადი ქართული სიტყვები.

სწორედ, ამას ვჩივივარ და ამაზე ვშფოთობ, ბატონო ლევან!

ძველად შექმნილი „ცისარტყელა" არაა „რადუგას" შესატყვისი.

ის თავისთავად არსებობს, რუსულისგანაც და სხვა ენებისგანაც დამოუკიდებლად.

„თვითმფრინავი" კი „სამოლიოტის" შესატყვისია.

„ცისარტყელა" შექმნა ქართველი კაცისა და ქართული ენის შემოქმედებითმა გენიამ.

ხოლო „თვითმფრინავი" არ შექმნილა. ის არაა ქართული ენისა და ქართველი კაცის შემოქმედების ნაყოფი და უბრალოდ გაკეთებულია დამონებული ცნობიერების მქონე ადამიანის მიერ რუსული „Самолет"-ის მიხედვით. კალკია. შესატყვისია.

რომ სხვისი შესატყვისი კი არ უნდა იყოს სიტყვა, არამედ თავისთავად უნდა არსებობდეს, ამის მაგალითად თვალსაჩინოებისათვის მივმართოთ გერმანულ ენას.

გერმანელებსაც რომ „Самолет"-ის შესატყვისი გაეკეთებინათ, მაშინ მათებურად თვითმფრინავი უნდა ყოფილიყო „Selbstfliegende" (Selbst — сам — თვით, fliegende— летающий —მფრინავი).

ასევე „Вертолет"-ის შესატყვისი იქნება „Vertfliegende".

მაგრამ გერმანულად თვითმფრინავს ეწოდება არა „Selbstfliegende", არამედ „Flugzeug" ხოლო შვეულმფრენს — არა „Vertfliegende", არამედ „Hubschrauber".

ახლა კი დავსვათ კითხვა, რატომაა რომ გერმანელმა რუსულისგან კი არ გააკეთა კალკი, არამედ თვით დაარქვა საგანს სახელი, ხოლო ქართველმა რუსული სახელის შესატყვისი გააკეთა?

იმიტომ, რომ გერმანია თავისუფალი ქვეყანაა, საქართველო კი რუსეთს ჰყავს დაპყრობილი. გერმანული ენა თავისუფალია, ქართულზე კი რუსული ბატონობს.

ერთ საინტერესო ამბავს შეგახსენებთ.

გარკვეულ დრომდე რუსები იმას, რასაც ახლა „Самолет"-ს ეძახიან „Аэроплан"-ს ეძახდნენ.

და ჩვენც „აეროპლანი" გვიქვიოდა.

მერე რუსებმა იფიქრეს, რატომ უნდა ერქვას საგანს უცხო სახელიო და გაარუსულეს, „Самолет"-ი დაარქვეს.

ჩვენ რაღა ვქენით?

იმის მაგიერ, რომ გვეფიქრა, მოდით ჩვენც ჩვენებურად შევხედოთ აეროპლანს და ქართული სახელი დავარქვათო, ავდექით და რუსული სახელის კალკი გავაკეთეთ.

არავის არაფერში ვადანაშაულებ. იქნებ ბრძანებაც კი იყო იმპერიის ენათმეცნიერი ჩეკისტების თუ ჩეკისტ ენათმეცნიერთა მიერ გამოცემული, რომ „უმცროს ძმებს" უფლება არა გვქონდა, ჩვენით დაგვერქვა საგნისთვის სახელი და ვალდებულნი ვიყავით, აუცილებლად რუსულიდან გვეკეთებინა კალკები. ყოველ შემთხვევაში, სულაც არ გამიკვირდება, ასეთი დოკუმენტი მართლაც რომ აღმოჩნდეს.

ასე იყო, ყველაფერში რუსისთვის უნდა გვედია კუდში.

მაგრამ ახლა ხომ ვეღარ დაგვემუქრებიან, გინდა თუ არა, ჩვენ რომ ახალ საგანს რუსულ სახელს დავარქმევთ, თქვენც იმის კალკი უნდა დაარქვათ თორემ დაგხვრეტთო.

ტანკები კი უდგათ აქ, მაგრამ ამეებისთვის აღარა სცხელათ.

მაშ მოდით, მართლაც გავახილოთ თვალი და რუსული სათვალის გარეშე შევხედოთ სამყაროს.

ჯერ ვნახოთ, თუ როგორ უცქერიან სამყაროს სხვები, ისინი, ვინც რუსებს არ მისჩანჩალებენ უკან.

ლ. ღვინჯილიას მიერ დასახელებული სამი სიტყვიდან გერმანულად მხოლოდ „სამკუთხედია" „ტრეუგოლნიკი"-ს მსგავსი — „დრაიეკ" (სამი კუთხე). (თანაც ეს ფაქტი იმას არ ნიშნავს, რომ რუსებისგან გადაიღეს კალკი გერმანელებმა).

მაცივარიც, თვითმფრინავიც და ჩემს ტელეგამოსვლაში ნახსენები ვერტმფრენიც ანუ შვეულმფრენიც გერმანელებმა რუსებისაგან განსხვავებულად დაინახეს.

ანუ სხვაგვარად დაინახა ეს საგნები გერმანულმა ენამ.

ვნახოთ, რაშია განსხვავება.

აი, დგას სამზარეულოში საგანი. რუსი უცქერის მას და ამბობს: „ეს არის „ხოლოდილნიკ"-ი ანუ ის, რაც აციებსო".

გერმანელი კი ამბობს: „ეს არის „Kühlschrank"-ი „გრილი კარადა" ანუ „სიგრილის კარადა"-ო.

იმას კი არ ვიკვლევ, თუ რომელი „დანახვა" რომელს სჯობია. უბრალოდ აღვნიშნავ, რომ განსხვავებულია ხედვა.

რუსული ხედვით მაცივარში მთავარი ისაა, რომ იგი რაღაცის გამაციებელია. თან ეს „რაღაცა" აუცილებლად იგულისხმება მაცივარში მოთავსებულად.

გერმანულ ხედვაში არა ჩანს მაცივარში მოთავსებული „რაღაცა". გერმანელისთვის მაცივარში მთავარია თავისთავად არსებული გრილი სივრცე.

ვნახოთ „სამოლიოტ"-ი.

რუსი და რუსული ენა უცქერიან მას და ამბობენ: „ეს არის „სამოლიოტი" ანუ საგანი, რომელიც თავისით, თვითონ დაფრინავსო".

გერმანელი და გერმანული ენა კი თვითმფრინავზე ამბობენ: „ეს არის „Flügzeug" ესე იგი „საფრენი" ანუ ის, რითაც ფრინავენო.

ვნახოთ „ჩვენი" „ვერტოლიოტი".

რუსი და რუსული ენა ამ მანქანას უცქერიან და ამბობენ: ის „Вертолет"-ია, ესე იგი ვერტიკალურად ფრინავსო.

გერმანელი და გერმანული ენა კი ამბობენ: „Hubschrayber"-იაო.

ვნახოთ გერმანულ-რუსული ლექსიკონი:

Hub — 1. подъем 2. ход, размах, ход (поршня).

Hubchraybe — 1. подъемный винт. 2. ротор.

Hubchrayber — вертолет, геликоптер.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ რომ გერმანელისთვის და გერმანული ენისთვის შვეულმფრენში მთავარი ისაა, რომ ეს მანქანა ამწევი ხრახნით მოძრაობს.

ესე იგი რუსული ენა კი ამბობს, მთავარია, რომ ეს მანქანა ვერტიკალურად მოძრაობსო, მაგრამ გერმანული „ეკამათება", მთავარია, რომ ამწევი ხრახნი ამოძრავებსო.

ვიმეორებ, ერთი ენის „ხედვა" მეორეს არა სჯობია.

მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ენები ერთმანეთისგან განსხვავებულად ხედავენ საგნებს.

რუსული ენის ბატონობისგან განთავისუფლების ანუ რუსული ენის იმპერიისგან თავდახსნის გზა ისაა, რომ მოვიშოროთ ამ ენას დიქტატი.

ორასი წელიწადია ეს ენა ბატონობს ქართულზე.

იგი ჩადგა სამყაროსა და ქართულ ენას შორის და აძალებს ჩვენს ენას, გინდა თუ არა ყველაფერს ისე უნდა ხედავდე, როგორც მე მსურს, შენს ბატონსო.

ორასი წელია გაფთრებული იბრძვის ქართული ენა თავისუფლებისთვის და გადარჩენისთვის.

და მიუხედავად იმისა, რომ იმპერიულ ენას ზურგს უმაგრებს პოლიტიკური და სამხედრო ძლიერება, მან მაინც ვერ შეძლო ქართული ენის მოსპობა.

ვერ შეძლო, რადგან დღევანდელ ქართულ ენას ზურგს უმაგრებს თხუთმეტსაუკუნოვანი დიდი ქართული ლიტერატურა და უბრწყინვალესი ფოლკლორი.

და როდესაც „Самолет"-ისგან „თვითმფრინავს" გვაკეთებინებდნენ, იმავდროს საქართველოში იყვნენ ადამიანები, რომელნიც კვლავაც ქართული თვალებით შესცქეროდნენ სამყაროს და ამბობდნენ:

„შეკიდებიან მთვარეს — როგორც ლურჯი მტევნები,

თეთრვარდისფერი ალუჩები და შადრევნები"-ო.

მოსპობა კი ვერ შეძლო რუსულმა ქართული ენისა, მაგრამ ცხოვრების ბევრი სფეროდან გააძევა, ბევრ სფეროში შეავიწროვა და რაც მთავარია, ბევრ ქართველს ჩააგონა, რომ მხოლოდ რუსული ენაა დიდი და სრულყოფილი და სამყარო მხოლოდ მისებურად, რუსულად უნდა უცქიროს ყველამ.

ამჟამად, 1991 წელს პოლიტიკური ვითარება ისეთია, რომ თუმცა კი თავისუფლებამდე არც ისე ახლოა, მაგრამ ენის გათავისუფლებას უკვე შეგვიძლია შევუდგეთ. ამაში იმპერია ხელს ვეღარ შეგვიშლის.

რა არის ამისთვის საჭირო?

უპირველეს ყოვლისა, ყველა ქართველს უნდა გვწამდეს, რომ ჩვენი ენა არის სრულუფლებიანი წევრი დიდი ენების ოჯახისა.

უნდა ვიცოდეთ, რომ არ არსებობს ქვეყნად ენა, რომელსაც საჭიროა რომ მივბაძოთ ან ვალდებულნი ვართ საამისოდ.

რუსული არის ერთ-ერთი ენა სხვა მისებრ განვითარებულ ენათა შორის. მეტი არაფერი!

ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევეშვათ რუსულიდან კალკირების მეთოდს.

ყოველ საგანს თუ მოვლენას სახელი ჩვენ თვითონ უნდა დავარქვათ.

ახალი საგნისთვის (თუ მოვლენისთვის) სახელის დარქმევის დროს ჯერ უნდა ვნახოთ, თუ რა დაარქვეს ამ საგანს (თუ მოვლენას) განვითარებული ენების მქონე ხალხებმა, შემდეგ კი ქართული ენის მსოფლხედვის, ტრადიციების, ხასიათისა და ფონეტიკური თავისებურებების გათვალისწინებით გამოვუძებნოთ მას სახელი.

შეიძლება აღმოჩნდეს, რომ საგნის სახელი რომელიმე ენაზე ისეთია, რომ ჩვენი ენის ხასიათს პირდაპირ მიესადაგება. მაშინ პირდაპირ უნდა ავიღოთ ეს სახელი.

ზოგ საგანს სახელს დავარქმევთ ისე, რომ კალკს გავაკეთებთ რომელიმე ენიდან: იაპონურიდან ან ფინურიდან, ფრანგულიდან ან არაბულიდან, ჩეხურიდან ან ლატვიურიდან...

მაგრამ ყოველი ახალი საგნისა თუ მოვლენისთვის სახელის დარქმევის უმთავრესი მეთოდი უნდა იყოს ის, რომ ამ საგანს უნდა შეჰხედოს ქართულმა ენამ და, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, დაარქვას სახელი.

ალბათ მკითხავთ, კი, ბატონო, მაგრამ კონკრეტულად როგორ უნდა მოხდეს ეს ყველაფერიო.

ბოლოს და ბოლოს ქართული ენა მართლაც ხომ არაა ცოცხალი არსება. როგორ უნდა შეჰხედოს და როგორ დაარქვასო.

როგორ, მეგობრებო, და ყოველ დროში ქართული ენა განსხეულებულია კონკრეტულ პიროვნებებში. აი, ამ წუთას ქართული ენა ცოცხლობს იმ ოთხამდე მილიონ ქართველში, ვინც ახლა ვცხოვრობთ დედამიწაზე.

ამ ოთხ მილიონ ადამიანში ადვილად გამოიძებნებიან ის ადამიანები, რომელთაც უაღრესად აქვთ გამახვილებული მშობლიური ენის გრძნობა, არ არიან მოწყვეტილნი ხალხის სასაუბრო ენას და ენათმეცნიერების სფეროშიც დიდად არიან განათლებულნი.

სწორედ ასეთია ის ქიზიყელი კაცი, რომელიც ლ. ღვინჯილიას ჩემი გამოგონილი ჰგონია და რომლის მიერ ნათქვამმა „წყალჩიტამ" აგრერიგად გააოცა ჩემი ოპონენტი.

ოპონენტი მიწერს: „ვოდოპლავაიუშაია პტიცა ქართველმა ლინგვისტებმა და ზოოლოგებმა თარგმნეს როგორც წყლის ფრინველი... ცნება ვოდოპლავაიუშაია პტიცა ანუ წყლის ფრინველი აერთიანებს ფრინველთა იმ წრეს, რომელშიც შედიან ბატები, იხვები, გედები, ვარხვები და ა. შ. თითოეული დასახელებული სახეობა უამრავ ქვესახეობას აერთიანებს და, თავად **განსაჯეთ, თუ რამდენად ბუნებრივია ქართულისათვის ბატს ან გედს ვუწოდოთ ჩიტი. რაც შეეხება წყალჩიტას, ასეთი ცნება ქართულ ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში არ დასტურდება... ასეთი ფრინველი რომც არსებობდეს (თუმცა ზოოლოგებმა მითხრეს, დღემდე არაფერი გვსმენიაო) იგი (ეს სიტყვა) მაინც არ გამოდგება** წყლის ფრინველის შემცვლელად. ამდენად ქართველ ენათმეცნიერთა მისამართით გამოთქმული თქვენი საყვედური, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაშიც უსაფუძვლოა" (ხაზგასმა ჩემია — გ. პ.).

ჯერ ერთი, ვიმეორებ, არავის არაფერსაც არა ვსაყვედურობ. დრო იყო ისეთი, რომ მეცნიერება რაც შეიძლება ჩინოვნიკური უნდა ყოფილიყო, ხოლო მისი ენა „კაზიონური". ამიტომაც უკუაგდეს „წყალჩიტა" ლექსიკოგრაფებმა.

ლ. ღვინჯილია წერს ეს სიტყვა არ გამოდგება „წყლის ფრინველის" შემცვლელადო, მაგრამ ვერ ასაბუთებს თავის მოსაზრებას.

„ასეთი ცნება ქართულ ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში არ დასტურდება"-ო.

განა ამას საბუთი ჰქვია?

მეც მანდ არა ვარ, რომ ლექსიკოგრაფებმა „წყალჩიტას" ნაცვლად „წყლის ფრინველი" „დაადასტურეს"?

„თავად განსაჯეთ, თუ რამდენად ბუნებრივია ქართულისათვის ბატს ან გედს ვუწოდოთ ჩიტი"-ო, მეუბნება ლ. ღვინჯილია.

განვსაჯე და ვფიქრობ, რომ ძალიანაც ბუნებრივია.

ასე, მაგალითად, რა უჭირს თუ სახელმძღვანელოში ჩავწერთ: **წყალჩიტებია ბატი, იხვი, გედი, ვარხვი** და სხვა.

თუ იმას გულისხმობს ოპონენტი, რომ გედს დიდი სხეული აქვს და ამიტომ ჩიტად ვერ მოვიხსენიებთ, არც ესაა სწორი.

ჩიტი ისეთივე ზოგადი ცნებაა, როგორიც ფრინველი ან, მაგალითად, თევზი.

თუკი თევზს ვუწოდებთ ჭყინასაც და ვეება ზვიგენსაც, რატომ გედს კი ვერ მოუხდება ჩიტობა?

გედი საკმაოდ დიდია, მაგრამ განა თავისი სიდიდით მივა სირაქლემასთან?

ხოლო „სირაქლემა" ხომ იგივეა, რაც „ჩიტაქლემა".

ახლა თავად განსაჯეთ, ბატონო ლევან, თუკი ნახევარტონიან სირაქლემაზე ვამბობთ, ჩიტიაო, ორკილონახევრიან ბატებს რატომ იწყინებით, ჩიტები რომ დავუძახოთ?

პოლემიკაში გართულ ოპონენტს ისე ძალიან უნდოდა „წყალჩიტას" დასამარება, რომ საბუთებს სულ სხვაგან დაუწყო ძებნა.

„ასეთი ფრინველი რომც არსებობდეს (თუმცა ზოოლოგებმა მითხრეს, დღემდე არაფერი გვსმენიაო) იგი (ეს სიტყვა) მაინც არ გამოდგება წყლის ფრინველის შემცვლელად", წერს ლ. ღვინჯილია.

მიმტკიცებს წყალჩიტა არ არსებობსო.

მერედა, ვინ უთხრა, წყალჩიტა ჩვენს ორღობეში დაფრინავსო?

„წყალჩიტა" იმ ქიზიყელმა კაცმა ლექსიკოგრაფებს შესთავაზა, როგორც ზოგადი ცნება, სწორედ „წყლის ფრინველის" შემცვლელად.

როგორც არ არსებობს ჩიტი, რომელსაც „წყლის ფრინველი" ჰქვია კერძო სახელად, ასევე არ არსებობს ჩიტი სახელად „წყალჩიტა". ამის დასადგენად რა საჭირო იყო ზოოლოგების შეწუხება?

ახლა კი მოგახსენებთ, თუ რატომ სჯობია „წყალჩიტები" „წყლის ფრინველებს".

თუმცა კი მეცნიერული ენა განსხვავდება სასაუბრო ენისაგან და წესით თითქოს უფრო „მშრალი", მშვიდი და, ასე ვთქვათ, არამხატვრული უნდა იყოს, მაგრამ ქართული მეცნიერული ენა ქართული ენის ბუნებას უნდა ეთანადებოდეს.

ქართულ ენას უყვარს ორი სიტყვის შეერთება:

მთაწმინდა, ხევძმარა, ძირტკბილა, ცასწვავალა, მგელკაცა, ქალთევზა, მწყერჩიტა, და ასე შემდეგ.

განა რა დაშავდებოდა, რომ გვეთქვა „მიწის ვაშლი", მაგრამ გვაქვს „მიწავაშლა" (სხვათა შორის, ახლა პომიდორს რომ ვეძახით იმ ბოსტნეულისთვის მშვენიერი სახელი ჰქონდა ქართველ კაცს — „ოქროვაშლა", რაც თავდაპირველად იქნებოდა „ოქროს ვაშლი").

ქართული მეცნიერული ენაც იზიარებს ამ ტრადიციას.

რუსები ამბობენ „Серная кислота". ჩვენ კი ერთსიტყვიანი ცნება გვაქვს — „გოგირდმჟავა".

მათემატიკაში ხომ შეიძლებოდა გვქონოდა „წრიული წირი", მაგრამ ენის ბუნების მიყოლით შეიქმნა „წრეწირი".

შეიძლებოდა ყოფილიყო „წყლის მცენარეები" მაგრამ გვაქვს „წყალმცენარეები".

აი, ასევე „წყლის ფრინველების" მაგიერ უკეთესი იყო გვქონოდა „წყალფრინველები" ან „წყალჩიტები".

თავად განსაჯეთ, ბატონო ლევან, არის თუ არა ქართულისათვის ბუნებრივი ეს ყველაფერი:

„მიწის ვაშლი" — „მიწავაშლა"

„წყლის მცენარე" — „წყალმცენარე".

„წყლის ფრინველი" — „წყალფრინველი".

„ნარის ჩიტი" — ნარჩიტა".

„წყლის ჩიტი" — „წყალჩიტა".

არ გეგონოთ, მეგობრებო, რომ იმას მოვითხოვდე, სასწრაფოდ გავაძევოთ „წყლის ფრინველი" და „წყალჩიტა" დავამკვიდროთ-მეთქი.

რაც გაკეთდა (თუ გაფუჭდა) იმას რაღა ეშველება.

მხოლოდ იმას ვითხოვ, რომ ნურც ლ. ღვინჯილია და ნურც სხვა ვინმე, დიპლომიან-ხარისხიანი ნუ შეხედავს ამგვარად „ქიზიყელ კაცებს" და ვინმეს ნუ ეგონება, რადგან მე სამსახურებრივად მევალება ენის პრობლემებზე ფიქრი, ამიტომ სხვებს ეკრძალებათო.

ვერაფერი შვილია, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მაღალი სართულიდან რიხიანი გადმოძახება: „არც ერთ ლექსიკონში არ იქნა გათვალისწინებული „ქიზიყელი ლექსიკოგრაფის" წინადადება"-ო.

რაც უფრო ყურადღებით დავუგდებთ ყურს „ქიზიყელ ლექსიკოგრაფებს" მით უფრო ძლიერი იქნება ქართული ენა და წინ წავა ქართული ენათმეცნიერება.

რატომ?

იმიტომ, რომ ქართული ენა სწორედ ქიზიყელი, გორელი, ოკრიბელი... და ყველა სხვა კუთხის ლექსიკოგრაფების შექმნილია.

ოღონდ ეგაა, როცა ამ ბაქალო სასწაულს გვიქმნიდნენ არ იცოდნენ, ლექსიკოგრაფები რომ ერქვათ. ცხოვრობდნენ, როგორც ჩვეულებრივი ქართველები, ქართული თვალით უცქეროდნენ სამყაროს და ამიტომაც ნამდვილად ქართულ სახელებს არქმევდნენ საგნებს.

აუცილებლად ერთიც უნდა დავამატო, რომ ის თქვენეული გაგებით ლექსიკოგრაფები, ხოლო ჩემეული გაგებით ქართულენიანი და ქართულთვალიანი ქართველები პოეტები იყვნენ.

ლექსიკოგრაფიც და, საერთოდ, ენათმეცნიერიც ოდნავ მაინც პოეტი უნდა იყოს. შეიძლება ლექსებს არც წერდეს, მაგრამ პოეტურად უნდა უცქეროდეს სამყაროს. თორემ ვერაფერს გაუგებს ამ უმშვენიერეს უსასრულო პოემას — ქართულ ენას. ვერც ახალი საგნისთვის სახელის დამრქმევად გამოდგება და ვერც იმის ექსპერტად, თუ რომელი სიტყვა სად, როგორ იყოს.

დავუბრუნდეთ „ვერტოლიოტს" და „ვერტმფრენ-შვეულმფრენს".

ამ რამდენიმე დღის წინ ორ ნამდვილად პოეტური სულის მქონე „ლექსიკოგრაფთან" ვილაპარაკე ამ თემაზე.

ერთი მათგანი გახლავთ ქართველი მწერალი, შესანიშნავი მთარგმნელი და მრავალთა უმრავლესი ენის მცოდნე ზეზვა მედულაშვილი.

იმ კომისიაში, რომელმაც ახალ საგნებს ქართული სახელი უნდა დაარქვას, ზეზვა რომ ნამდვილად იქნება, ეჭვი არ მეპარება.

ძნელად თუ ბევრი მოიძებნება, რომ ასე გრძნობდეს ენას.

მას შეუძლია ხელის გულზე დაიდოს სიტყვა და ქართული მზის შუქზე ისე ატრიალოს, რომ ათიათასი მოულოდნელი წახნაგიდან არეკვლილი შუქი აციალდება ირგვლივ.

როგორც ვიცი ენის თაობაზე წიგნის დაწერას აპირებს და, დარწმუნებული ვარ, სამაგიდო წიგნად იქცევა ის წიგნი ყველასთვის, ვინც კი ენის პრობლემებზე ფიქრობს.

შენ რას დაარქმევდი შვეულმფრენს-მეთქი, ვკითხე ზეზვას.

მხოლოდ რამდენიმე წამს დაფიქრდა და მითხრა:

— მაგალითად, **ზექრიალას-ო.**

მერე ისიც დაამატა, დაფიქრებაა საჭიროო.

რომ აღარც დავფიქრდეთ და „ზექრიალაზე" შევჩერდეთ, ისიც სჯობია „შვეულმფრენს", რადგან უფრო ქართულია.

შევადაროთ:

—რუსულ დანახვაში" მთავარია ვერტიკალურად აფრენა. აქ ხდება ფაქტის კონსტატაცია.

„გერმანულ დანახვაში" მთავარი ისაა, რომ ყურადღება ექცევა ძრავას — ამწევი ხრახნიაო.

„ქართულ დანახვაში", კი მოჩანს საგანი, რომლის თავზეც რაღაც კრიალებს ან ტრიალებს. (სხვანაირადაც შეიძლება „ზექრიალას" გაგება — ის ზევითაა, ცაში, და იქ კრიალებს).

„ზექრიალა" „ცისარტყელას" ჰგავს. ისიც პოეტის მიერაა ნათქვამი.

და ასე იმიტომა თქვა ზეზვამ, რომ მასში გენეტიკურადაა შენახული მისი წინაპრების ენობრივი მსოფლხედვა.

ზეზვასა და ჩემს საუბარს მეორე პოეტი — ლექსიკოგრაფი უსმენდა და ზეზვა რომ წავიდა, მკითხა:

— მამიკო, გინდა, მეც მოვიგონებ, რა ჰქვია შვეულმფრენსო.

დიახ, ჩემს ირინეზე გელაპარაკებით, რვა წლის რომ ხდება ამ დღეებში.

ჩემი ირინე გამონაკლისი არაა. ყველა ბავშვი პოეტიცაა და ლექსიკოგრაფიც.

— აბა, მოიგონე-მეთქი.

უცებ მომაყარა:

— ბზრიალ-ტრიალა, რკინის ბუზი, ბუზატრიხუნა, ცისსათქვეფა, ცისთქვეფია...

განსაკუთრებით მომეწონა ცისთქვეფია".

ისიც „ცისარტყელის" და „ზექრიალას" პოეტური მეთოდითაა შექმნილი.

„ცისთქვეფია" იმას ნიშნავს, რომ ეს საგანი ცაში ტყუილად კი არ ატრიალ-აბზრიალებს კინკრიხოზე გამობმულ ფრთებს, არამედ ცასა თქვეფს.

ვიცი, რატომაც დაიბადა ირინეს გონებაში ასეთი სიტყვა. ოჯახში, სამზარეულოში გვაქვს საგანი, რომელიც კვერცხის სათქვეფად გამოიყენება და რომელსაც ჰგავს შვეულმფრენ-ვერტოლიოტი.

პედანტმა და ვერაპოეტმა ენათმეცნიერმა შეიძლება მკითხოს, ცის თქვეფა ვის გაუგია ან რა საჭიროაო, და ამიტომაც ცისთქვეფია არ ვარგაო.

ასეთ ვერპოეტს შევეკითხები: უკაცრავად, ნემსების ყლაპვა საჭიროა? გინახავთ ვინმე ყლაპავდეს? მერე მაინც თუ განახავთ, რომ ყლაპავდეს ნემსებს?

ვიცი, უარყოფითად მიპასუხებს და მართალიც იქნება.

მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ ქართულ ენაში არის სიტყვა „**ნემსიყლაპია?**".

ნემსიყლაპია მწერია და ამ მწერის მოდგმაში არც ერთს არ უცდია ნემსის გადაყლაპვა.

როგორ გაჩნდა ეს სიტყვა?

ერთმა ქართველმა კაცმა ჭეშმარიტმა პოეტმა — ლექსიკოგრაფმა ამ მწერის გრძელ და წვრილ სხეულს რომ უცქეროდა, იფიქრა ამას შეუძლია ნემსი გადაყლაპოს და არაფერი მოუვიდესო, მერე კი ალბათ ფანტაზიორობა დაიწყო, იქნებ ყლაპავს კიდეც, ეს ნემსიყლაპია ესაო.

მაშინაც რომ სამსახურებრივად ვალდებული ლექსიკოგრაფების ხელში ყოფილიყო ქართული ენის „მართვის სადავეები" ცხადია, რომ „ნემსიყლაპიას" მაშინვე მოაძრობდნენ, ეს რა ბუტბუტიაო. და ძალიან ფიცხადაც მოიქცეოდნენ!

მეგობრებო, ენათმეცნიერების პრეტენზია, ცხადია, არა მაქვს ამ სფეროში მხოლოდ იმიტომ ვერევი, რომ მინდა რუსული იმპერიული ენის ბატონობის გამო ზოგიერთ ქართველში ჩაბუდებული არასრულფასოვნების გრძნობა გავაქარწყლო.

ქართული დიდი ენაა. ის დიდი პოეზიაა.

და ის უნდა დარჩეს ისეთად როგორიც აქამდე იყო.

ქართული ენისათვის ნამდვილი არის ნაირფერ ცისარტყელებში მფრინავი ნემსიყლაპიების ფრთებზე არეკლილი ცოცხალი შუქი და არა თვითმფრინავების, შვეულმფრენებისა და მაცივრების უსულო გროვა.

გურამ პეტრიაშვილი.

(დასასრული იქნება)

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

გასული კვირის მანძილზე სიღნაღში არ გამოსულა რაიონული გაზეთი „ქიზიყი". მიზეზი — სამუშაოდან წავიდა ადგილობრივი სტამბის ასოთამწყობი, რომელსაც შემცვლელი ვერ უპოვეს. ამის შედეგად მკითხველები პრაქტიკულად უინფორმაციოდ დარჩნენ, თანაც — ახლა, როცა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების არჩევნების საარჩევნო კამპანიას გადამწყვეტი ფაზა ეწყება...

არჩევნებისათვის მზადების დროს რაიონში წამოჭრილ ამ და სხვა პრობლემებზე საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგ სხდომაზე ილაპარაკა სიღნაღის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნანა შალვაშვილმა, განათლებით იურისტს ნანა შალვაშვილს, რომელსაც აქვს რაიონში გასულ შემოდგომაზე საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მრავალპარტიული არჩევნების ორგანიზაციის გამოცდილება, მშვენივრად ესმის, თუ რამდენ საჭიროა გააცნო თითოეულ ამომრჩეველს არჩევნების შესახებ ახალი კანონის შინაარსი, დაეხმარო მას გაერკვეს ახლანდელი არცთუ მარტივი წინასაარჩევნო კამპანიის ყველა ნიუანსში. და აი, იგი იძულებული გახდა კომისიის წევრებთან ერთად გასულ კვირაში მოევლო მთელი რაიონი, ელო სოფელ-სოფელ და ინსტრუქტაჟი გაეწია ადგილობრივი კომისიებისათვის, განემარტა ახალი კანონმდებლობის დებულებანი. პასუხისმგებლობა, რომლითაც ტერიტორიული კომისიის ახალგაზრდა თავმჯდომარე მოეკიდა დაკისრებულ მისიას, ღირსეულად დააფასეს. მას შეჰპირდნენ, რომ ყოველნაირად შეუწყობდნენ ხელს რაიონული გაზეთის გამოშვების აღდგენაშიც და ცენტრთან და ადგილობრივ საარჩევნო კომისიებთან შეუფერხებელი სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფაშიც, მის მიერ დასმული სხვა საკითხების გადაწყვეტაშიც.

მთლიანად კი არჩევნებისათვის მზადება სიღნაღის რაიონში ნორმალურად მიმდინარეობს, ისევე, როგორც, სენაკისა და კასპის რაიონებშიც, რაზეც ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე ილაპარაკეს ამ ტერიტორიულ საარჩევნო კომისიათა თავმჯდომარეებმა მხედარ ჩაჩავამ და დალი დავითაშვილმა. აქ დადგენილ ვადებში დამთავრდა როგორც ტერიტორიული, ისე ადგილობრივი საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება, შეიქმნა საარჩევნო ოლქები და უბნები, რეგისტრაციაში გაატარეს საარჩევნო ბლოკები და არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები. შევნიშნავთ, რომ სენაკშიც და კასპშიც, ისევე როგორც სიღნაღშიც, რეგისტრაციაში გაატარეს თითო საარჩევნო ბლოკი. ეს არის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო". სამივე რეგიონში დამოუკიდებლად მონაწილეობს არჩევნებში საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტია. ამასთან სენაკის რაიონში წინასაარჩევნო ბრძოლას დამოუკიდებლად ეწევიან აგრეთვე საქართველოს სახალხო ფრონტი და სახალხო ფრონტი — რადიკალური კავშირი. ამჟამად მიმდინარეობს საარჩევნო ოლქებში დეპუტატთა კანდიდატების წარდგენა. საგულისხმოა, რომ სენაკის რაიონში, მაგალითად, 308 დეპუტატის მანდატზე უკვე 600-მდე დამოუკიდებელი კანდიდატია დასახელებული. ვარაუდობენ, რომ ამ მანდატებს პრეტენდენტთა საერთო რიცხვი 2000-2100-ს გადააჭარბებს. დეპუტატთა მანდატებისათვის მწვავე ბრძოლაა მოსალოდნელი სხვა რაიონებშიც.

ილაპარაკეს რა არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობაზე ტერიტორიულ საარჩევნო კომისიათა თავმჯდომარეებმა დამსწრეთ მოახსენეს, თუ რა სიძნელეების დაძლევა უწევთ, რა პრობლემები მოითხოვს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოპერატიულ რეაგირებას.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ისეთი საკითხები, როგორიცაა საარჩევნო კამპანიის დაფინანსება, პარტიებისათვის, საარჩევნო ბლოკების, ერთისა და იმავე ოლქში დასახელებული დეპუტატობის კანდიდატებისათვის თანაბარი პირობების შექმნა მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებების გამოყენებაში, არჩევნების მომზადებისა და ჩატარების სხვა საკითხები.

(საქინფორმი).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

ნ. გ. აბჟანდაძის ქ. ჭიათურის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ნოდარ გრიგოლის ძე **აბჟანდაძე** ქ. ჭიათურის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 22 თებერვალი.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ვახტანგ სიმონის ძე მახათაძე გათავისუფლებულია ჭიათურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

(საქინფორმი).

ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას

17 მარტის რეფერენდუმი და ბრძოლა საბჭოთა კავშირის ძალდატანებით შენარჩუნებისათვის

უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო მკვეთრად გამოიხატა საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელისუფლების მისწრაფება სხვადასხვა საშუალებებით მოახდინოს იმპერიის კანონზომიერი რღვევის პროცესის შეჩერება. „სუვერენულ რესპუბლიკათა" კავშირის შესანარჩუნებლად გამოიყენება ეკონომიკური ბლოკადები, სხვადასხვა რეგიონში ეთნოკონფლიქტების გაღვივება, ვრცელდება დეზინფორმაცია რუსულენოვანი მოსახლეობის ჩაგვრის შესახებ. მიმართავენ „ურჩ" რესპუბლიკებში ანონიმური ეროვნული ხსნის კომიტეტების მოწოდებით დამსჯელი ოპერაციების ჩატარებას. ამავე დროს კრემლში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის შენარჩუნების დასაბუთებისათვის საჭირო იურიდიული დოკუმენტების შემუშავება. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა მე-4 ყრილობის გადაწყვეტილება რეფერენდუმის ჩატარების შესახებ და მის საფუძველზე მიღებული სსრკ უზენაესი საბჭოს ა. წ. 16 იანვრის დადგენილება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შენარჩუნების საკითხზე რეფერენდუმის ორგანიზაციისა და მისი ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ".

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რეფერენდუმების ჩატარება არცთუ იშვიათია, ამ გზით ხდება სხვადასხვა კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა, ახალი კანონების მიღება, შესწორებების შეტანა უკვე მოქმედ აქტებში.

მსოფლიო ისტორიაში რეფერენდუმის გზით ქვეყნის მთლიანობის ან სხვადასხვა ტერიტორიის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის რამდენიმე მაგალითი არსებობს: 1938 წელს ავსტრიის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა გერმანიასთან გაერთიანებას (თუმცა ამ დროს ავსტრია უკვე ოკუპირებული იყო); 1975 წელს ჩრდილოეთ მარიანის კუნძულები რეფერენდუმის შედეგად გამოცხადდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისუფლად მიერთებულ ტერიტორიად. საინტერესოა ამ მხრივ პალაუს კუნძულების მაგალითი. 1986 და 1990 წლებში აქ ჩატარებულ იქნა პლებისციტები ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისუფლად ასოცირებული ტერიტორიის სტატუსის მიღების მიზნით, მაგრამ ორივეჯერ საჭირო ხმების რაოდენობა (75%) ვერ იქნა მოპოვებული). 1990 წლის თებერვალში ჩატარებული პლებისციტის დროს თავისუფლად ასოცირებული ტერიტორიის სტატუსს მხარი დაუჭირა 4633 კაცმა (60%), წინააღმდეგი იყო 2988 (39,2%).

დავუბრუნდეთ საბჭოთა კავშირს და განვიხილოთ რამდენად არის გამართლებული როგორც პოლიტიკური, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით 17 მარტს დანიშნული საერთო საკავშირო რეფერენდუმის ჩატარება. სსრკ უზენაესი საბჭოს ზემოთ აღნიშნულ დადგენილებაში რეფერენდუმის დანიშვნის ძირითად მოტივად დასახელებულია ის, რომ საბჭოთა კავშირის მომავალი უნდა განსაზღვროს თვითონ ხალხმა, მაგრამ ამავე დროს არ არის მითითებული, თუ რომელმა ხალხმა (რომელმა ერმა) უნდა იტვირთოს ასეთი მძიმე პასუხისმგებლობა.

პოლიტიკურად ყოვლად გაუმართლებელია რეფერენდუმის გზით გადაიჭრას საკითხი იმის შენარჩუნების შესახებ, რაც თავის მხრივ არაკანონიერად არის შექმნილი. საქართველოს რესპუბლიკა ანექსირებული ქვეყანაა, რომლის კანონიერი მთავრობა ემიგრაციაში იმყოფებოდა, როდესაც 1922 წელს ბოლშევიკურმა მარიონეტულმა მთავრობამ ხელი მოაწერა სამოკავშირეო ხელშეკრულებას. ასევე ძალდატანებით შეიყვანეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოლდოვისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკები. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი იმ გაგებით, როგორც ნაგულისხმევია აღნიშნულ დადგენილებაში, უკვე დიდი ხანია აღარ არსებობს. გავიხსენოთ, რომ რამდენიმე რესპუბლიკამ მიიღო დეკლარაცია სუვერენიტეტის შესახებ.

ლიტვის მოსახლეობამ ა. წ. 9 თებერვალს ჩატარებული საყოველთაო გამოკითხვის შედეგად გამოხატა თავისი დადებითი დამოკიდებულება სუვერენული სახელმწიფოს აღდგენისადმი. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი, რომლის საბოლოო მიზანია 1921 წელს დაკარგული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

თუ ჩვენს მოსალოდნელ ოპონენტებს აღნიშნული რეფერენდუმის პოლიტიკურ და მორალურ მხარეებზე კიდევ შეუძლიათ შემოგვეკამათონ, მისი წმინდა იურიდიული მხარე ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. 16 იანვრის დადგენილებაში ჩამოყალიბებული არაერთი დებულება საკმაოდ ბუნდოვანია და ეწინააღმდეგება თვითონ საკავშირო კანონმდებლობასაც კი.

პირველ რიგში უნდა დადგინდეს, რა არის 17 მარტს დანიშნული რეფერენდუმის საგანი. „საბჭოთა კავშირში რეფერენდუმის შესახებ" 1990 წლის 27 დეკემბრის კანონის მე-4 მუხლში სრულად არის ჩამოთვლილი, თუ რა შეიძლება იყოს რეფერენდუმის საგანი:

„1. ახალი კანონის მიღება.

2. საბჭოთა კავშირის კანონის ან მისი ცალკეული დებულებების შეცვლა ან გაუქმება.

3. ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც განსაზღვრავენ საბჭოთა კავშირის კანონების ან სხვა აქტების ძირითად შინაარსს.

4. საბჭოთა კავშირის გამგებლობას მიკუთვნებულ სხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის გამოვლინება".

ცხადია, რომ პირველი და მეორე პუნქტები არც ერთ შემთხვევაში არ მიესადაგებიან 17 მარტს დანიშნულ რეფერენდუმის საგანს იმდენად, რამდენადაც არ არის გათვალისწინებული რაიმე კონკრეტული კანონის მიღება, გაუქმება ან შესწორება. თავისი შინაარსით აშკარაა, რომ ეს რეფერენდუმი მეოთხე პუნქტის მოთხოვნებს უფრო აკმაყოფილებს, რამდენადაც ამ გზით უნდა გამოიკვეთოს მოსახლეობის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის შენარჩუნების მიზანშეწონილობის თაობაზე. გავიხსენოთ, რა კითხვა უნდა იქნეს ჩაწერილი სარეფერენდუმო ბიულეტენში: „მიგაჩნიათ თუ არა აუცილებლად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, როგორც თანასწორი სუვერენული რესპუბლიკების ისეთი განახლებული ფედერაციის შენარჩუნება, სადაც სრულად იქნება გარანტირებული ნებისმიერი ეროვნების ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი". შეუსაბამობა ის გახლავთ, რომ ამ შემთხვევაში აღნიშნული დადგენილება ეწინააღმდეგება 27 დეკემბრის კანონს „საბჭოთა კავშირში რეფერენდუმის შესახებ". კერძოდ, კანონის 29-ე მუხლის თანახმად რეფერენდუმის შედეგები, რომელიც ჩატარებულია საზოგადოებრივი აზრის გაგების მიზნით, კანონის მეოთხე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, უნდა გაითვალისწინონ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა გადაწყვეტილების მიღების დროს და მაშასადამე, არ გააჩნიათ სავალდებულო ძალა. ამის საპირისპიროდ სსრკ უზენაესი საბჭოს 16 იანვრის დადგენილების მეათე მუხლში ნათქვამია, რომ „გადაწყვეტილება, მიღებული სსრკ-ის რეფერენდუმის გზით, არის საბოლოო, აქვს სავალდებულო ძალა საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე და მისი გაუქმება ან შეცვლა შეიძლება მხოლოდ სსრკ-ის ახალი რეფერენდუმის გზით". გამომდინარე აქედან, 17 მარტს დანიშნული რეფერენდუმის საგანი რჩება მხოლოდ რეფერენდუმის შესახებ კანონის მეოთხე მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული „გადაწყვეტილების მიღება, რომელიც განსაზღვრავს სსრკ კანონების და სხვა აქტების ძირითად შინაარსს". თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ შემოთავაზებულ რეფერენდუმს, ბუნებრივია ისმება კითხვა — რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება კონკრეტულად რომელ კანონს ან სხვა აქტს დაედება საფუძვლად? სამწუხაროდ, აღნიშნულ დადგენილებაში ამის შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ რეფერენდუმის შედეგები სურთ საფუძვლად დაუდონ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, უფრო ზუსტად კი მის საფუძველზე სურთ მოსთხოვონ რესპუბლიკების ხელმძღვანელებს, დაეთანხმონ „ხალხის ნებას" და ხელი მოაწერონ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას.

თვითონ რეფერენდუმზე დასმული კითხვის ტექსტიც ძალზე ბუნდოვანია, სარეფერენდუმო ბიულეტენში ჩასაწერ კითხვაში მოყვანილი ფორმულირება „სუვერენულ რესპუბლიკათა ფედერაცია „იურიდიული თვალსაზრისით სრულ უაზრობას წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობა თავისთავად გამორიცხავს მისი შემადგენელი სუბიექტების სუვერენულობას. გარდა ამისა, როგორც ტექსტიდან ჩანს, საუბარი არის სუვერენული, თანასწორი რესპუბლიკების კავშირის შენარჩუნების მიზანშეწონილობაზე, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული, რომელი რესპუბლიკები მიიღებიან მხედველობაში. მხოლოდ მოკავშირე, თუ მათთან ერთად ავტონომიური რესპუბლიკებიც. საგულისხმოა, რომ მოსკოვის მიერ შემოთავაზებული ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტით ავტონომიური რესპუბლიკები უშუალოდ გვევლინებიან ფედერაციის სუბიექტებად. ასევე არის გათანაბრებული ავტონომიური რესპუბლიკა მოკავშირესთან „სსრ კავშირისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ" კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად: „ავტონომიური რესპუბლიკები საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოებია, რომლებიც წარმოადგენენ ფედერაციის — სსრ კავშირის სუბიექტებს". როგორც ვხედავთ, ცენტრი ყველა ღონეს ხმარობს, რომ ავტონომიური რესპუბლიკები გახადოს სამოკავშირეო ხელშეკრულების სრულუფლებიანი სუბიექტები და ამით დაუპირისპიროს ისინი მოკავშირე რესპუბლიკებს. ამ მცდელობის მთელი უსაფუძვლობა ის არის, რომ ეს დებულებები ეწინააღმდეგებიან თვითონ საბჭოთა კავშირის ძირითად კანონს — კონსტიტუციას, რომლის ძალითაც საბჭოთა კავშირი არის თანასწორუფლებიანი რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანება (70-ე მუხლი), ხოლო 71-ე მუხლში კი ამომწურავად არის ჩამოთვლილი ის 15 რესპუბლიკა, რომლებიც ქმნიან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს. რაც შეეხება ავტონომიურ რესპუბლიკას, საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის 82-ე მუხლის თანახმად „ავტონომიური რესპუბლიკა შედის მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში". როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ რეფერენდუმზე დასმულ კითხვაში საუბარია კავშირის შენარჩუნების შესახებ, იგი ფაქტობრივად ახალი, სრულიად განსხვავებული კავშირის შექმნას გულისხმობს.

ყურადღებას იპყრობს დადგენილების მესამე მუხლი, სადაც საუბარია რეფერენდუმის შედეგების დადგენის შესახებ — „კენჭისყრის შედეგები დადგინდეს მთლიანად საბჭოთა კავშირში, თვითოეულ რესპუბლიკაში კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით". სიტყვა რესპუბლიკები აქაც იგივეს გულისხმობს, რასაც დადგენილების მეორე მუხლი, ე. ი. როგორც ავტონომიურ, ისე მოკავშირე რესპუბლიკებს. ეს დებულება ერთი შეხედვით შეიძლება დემოკრატიის გამოვლინებადაც მოგვეჩვენოს — თითქოსდა ყველა რესპუბლიკას შეუძლია თავისი დამოკიდებულება გამოხატოს დასმული საკითხის შესახებ, მაგრამ საქმე ის არის, რომ, მექანიზმი თუ რა სახით უნდა იქნეს გათვალისწინებული რესპუბლიკებში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს, საერთოდ არ არის განსაზღვრული. მაგალითად, რა იურიდიულ შედეგს გამოიღებს, თუკი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოსახლეობა უარს განაცხადებს კავშირის შენარჩუნებაზე, ხოლო ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკა პირიქით, მომხრე იქნება ასეთი კავშირისა და ა. შ. საქმე ის არის, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არავითარი შედეგი ამას არ მოჰყვება, რადგან რეფერენდუმის საბოლოო შედეგები მაინც მთელი კავშირის მასშტაბით უნდა იქნეს დადგენილი. როგორც ცნობილია, მთელი რიგი რესპუბლიკები უარს აცხადებენ, მონაწილეობა მიიღონ 17 მარტს დანიშნულ რეფერენდუმში, მაგრამ ეს ფაქტობრივად ხელს არ შეუშლის მოსკოვს რეფერენდუმი ჩატარებულად გამოაცხადოს და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღოს. 27 დეკემბრის კანონის 24-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად გადაწყვეტილება (კანონი ან სხვა გადაწყვეტილება), გამოტანილი რეფერენდუმზე, ჩაითვლება მიღებულად, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო სარეფერენდუმო სიებში შეყვანილ მოქალაქეთა ნახევარზე მეტმა და რეფერენდუმის შედეგად ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა კენჭისყრაში მონაწილე მოქალაქეთა ნახევარზე მეტმა". ე. ი. ფაქტობრივად გამოდის, რომ რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების მქონე საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა 25% +1 ხმით შეიძლება დადგინდეს საბჭოთა კავშირის შენარჩუნების აუცილებლობა და ამას დაერქმევა ხალხის ნების გამოხატულება. მიღებულ გადაწყვეტილებას კი აუცილებელი ძალა ექნება და მისი შეცვლა მხოლოდ ახალი რეფერენდუმის გზით იქნება შესაძლებელი. აშკარაა, რომ ასეთ ვითარებაში სრულიად ზედმეტია დემოკრატიაზე და რესპუბლიკათა ინტერესების დაცვაზე საუბარი.

ის ფაქტი, რომ რესპუბლიკებში ჩატარებული რეფერენდუმების შედეგების გათვალისწინება შეუძლებელია მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აშკარად ჩანს საბჭოთა კავშირში რეფერენდუმის შესახებ კანონის 24-ე მუხლის პირველ პუნქტში, სადაც ამომწურავად არის ჩამოთვლილი, თუ რა უნდა დაადგინოს ცენტრალურმა სარეფერენდუმო კომისიამ წარდგენილი ოქმების საფუძველზე: „სარეფერენდუმო სიებში შეტანილი სსრკ მოქალაქეთა საერთო რაოდენობა, იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კენჭისყრაში; იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს რეფერენდუმზე დაყენებულ საკითხს, მის წინააღმდეგ მისცეს ხმა, ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა", როგორც ვხედავთ, არავითარი საუბარი რესპუბლიკებში ჩატარებული რეფერენდუმების შედეგების შესახებ აქ არ არის.

ფრიად საინტერესოა ერთი დეტალიც. როგორც უკვე აღინიშნა, იმისათვის, რომ დადგინდეს ამა თუ იმ რესპუბლიკის მოსახლეობის ნება კავშირის შენარჩუნების მიზანშეწონილობის შესახებ, საკმარისია რეფერენდუმში მონაწილეთა ხმების უბრალო უმრავლესობა, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკის კავშირიდან გასვლისათვის საჭიროა ამ წინადადებას მხარი დაუჭიროს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ სსრკ მოქალაქეთა ორმა მესამედმა („მოკავშირე რესპუბლიკის სსრკ-დან გასვლასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის წესის შესახებ", კანონის მე-6 მუხლი).

ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარე, თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიმდინარე წლის 17 მარტს დანიშნული რეფერენდუმი ისევე, როგორც სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს 16 იანვრის დადგენილება, ფრიად ბუნდოვანია და ეწინააღმდეგება თვით მოქმედ საკავშირო კანონმდებლობას. ამავე დროს ეს რეფერენდუმი წარმოდგენილი სახით მიუღებელია მთელი რიგი რესპუბლიკებისათვის, რადგანაც მისი ერთადერთი მიზანი არის სსრკ-ის ძალდატანებით შენარჩუნებისათვის იურიდიული საფუძვლის მომზადება.

დავით კობახიძე,
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მუდმივი კომისიის კონსულტანტი.

მინაწერი: 28 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც საქართველოს რესპუბლიკაში 17 მარტს დანიშნული საკავშირო რეფერენდუმი არ ჩატარდება.

ქველმოქმედება

„დიდად ვაფასებ ამ ჯილდოს"...

სატელეფონო ხაზზეა — სტოკჰოლმი

მთელი ქართველი ერის, პაატა ბურჭულაძის ხალასი ნიჭის თაყვანისმცემელთა აზრი გამოხატა საქართველოს საბავშვო ფონდის გამგეობის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მწერალთა კავშირის მდივანმა ხუტა ბერულავამ იმ დეპეშით, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა გაზეთ „მშობლიურ კერაში". მასში, კერძოდ, აღნიშნული იყო, პაატა ბურჭულაძეს — ერის საამაყო შვილს სრულიად საქართველო უკრავს ტაშს იმ დიდი და ნათელი ხელოვნებისათვის, რითაც მან ასე მოხიბლა დასავლელი მსმენელი; რომ ქართველი ერი გულითად მადლობას უხდის მომღერალს იმ კეთილი საჩუქრისათვის, რომელიც მოხმარდება ქართველი ობოლი და მშობლიურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვების ჯანმრთელობას.

საქინფორმის კორესპონდენტს მერი გაბრიაძეს საშუალება მიეცა ტელეფონით დაკავშირებოდა მომღერალს სტოკჰოლმში, სადაც ამ დღეებში იგი თავის კონცერტმეისტერ ლუდმილა ივანოვასთან ერთად გამართავს სოლო კონცერტს. დეპეშის ტექსტს რომ გაეცნო, მან ულრმესი მადლობა გადაუხადა საქართველოს საბავშვო ფონდის გამგეობის პრეზიდიუმს იაკობ გოგებაშვილის პრემიის მინიჭებისათვის: — დიდად ვაფასებ ამ ჯილდოს, დიდი იაკობის სახელს რომ ატარებს. ჩვენ ხომ მისი „დედა ენით" ავიდგით ფეხი..., — თქვა პაატამ და საპატიო დავალებაც მომცა: გადავცე გამგეობის პრეზიდიუმს, რომ ამ პრემიის ფულად გამოხატულებას იგი ურიცხავს საქართველოს საბავშვო ფონდს.

რაც შეეხება ლოზანაში გამართულ საქველმოქმედო კონცერტის შედეგებს, პაატამ გვაცნობა, რომ საქართველოს ობოლი ბავშვებისათვის შეძენილი 14 ტონა წამლის ნაწილს 2 მარტს თვითმფრინავით ჩამოიტანენ თბილისში, დანარჩენ ნაწილს კი — დიდი სატვირთო მანქანებით გამოგზავნიან.

მკითხველებს შევახსენებთ, რომ თბილისში ჩამოვა 105 ათასი ცალი მულტივიტამინი, სისხლის პლაზმის შემცვლელი ტრაქტივინი, ანტისტაფილოკოკური გამაგლობულინი, ერთჯერადი შპრიცები, საფენები ჩვილი ბავშვებისათვის, ერთჯერადი შპრიცები დიაბეტით დაავადებულთათვის.

...მომღერალი კი განაგრძობს საგასტროლო კონცერტებსა და სპექტაკლებს. 7 მარტს დაგეგმილია მისი სოლო კონცერტი დასავლეთ ბერლინში, 6 აპრილს კი ლონდონის სახელგანთქმულ სამეფო თეატრ „კოვენტ გარდენის" სცენაზე იგი შეასრულებს მთავარ პარტიას მუსორგსკის ოპერაში „ბორის გოდუნოვი". მანამდე ქართველი ვოკალისტი ამავე ოპერის პრემიერაში გამოვა მიუნხენში, შემდეგ კი მის ხელოვნებას გაეცნობიან ესპანეთის, საფრანგეთის, იტალიის მსმენელები.

საზღვარგარეთ

პიერ ჟოქსის განცხადება

სპარსეთის ყურის რაიონში ომისშემდგომი მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესში გადამწყვეტი როლი უნდა განეკუთვნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, განაცხადა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა პიერ ჟოქსმა. საფრანგეთი მზად არის მონაწილეობა მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში ყველა ღონისძიებაში, რომლებიც საშუალებას მისცემს საერთაშორისო გაერთიანებას უზრუნველყოს მშვიდობა და უშიშროება რეგიონში, თქვა მან.

მინისტრის აზრით, სპარსეთის ყურის რაიონში ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით პირველ პლანზეა წამოყენებული ახლო აღმოსავლეთში კომპლექსური მოწესრიგების, მათ შორის პალესტინელი ხალხის საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლების საკითხისა და ისრაელის უშიშროების პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა.

ახლო აღმოსავლეთში კოლექტიური უშიშროების სისტემა უნდა შეიქმნას მოლაპარაკების გზით, ხაზგასმით აღნიშნა პ. ჟოქსმა. უნდა დამყარდეს რეგიონის ქვეყნებისათვის იარაღის მიყიდვის კონტროლი და შეზღუდვები. მინისტრმა განაცხადა, რომ საფრანგეთის სამხედრო კონტინგენტს, რომელიც მონაწილეობს საბრძოლო მოქმედებაში, მალე გაიყვანენ სამშობლოში, მაგრამ ამ რაიონში დროებით დარჩებიან სამხედრო-საზღვაო ძალების ქვედანაყოფები, რომლებიც სპარსეთის ყურეს განაღმავენ.

უპასუხა რა კითხვას საერთაშორისო სასამართლოში სადამ ჰუსეინის მიცემის შესაძლებლობაზე, პ. ჟოქსმა თქვა, რომ ერაყის ლიდერის ბედი თვით ერაყელმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს.

არ უნდა მეორეხარისხოვანი როლი

ინგლისური „დეილი მეილი", აანალიზებს რა პრეზიდენტ გორბაჩოვის ვიზიტს ბელორუსიაში, ანშლაგით გამოაქვს მისი გამონათქვამები: „არ არის მტკიცე ურთიერთობა ამერიკასთან", „არის საშიშროება, რომ საბჭოთა კავშირში მოხდეს სამოქალაქო ომი". გაზეთი აღნიშნავს, რომ ელცინისა და მოსკოვის მერის პოპოვის კრიტიკა კი არ არის მთავარი, არამედ ის, რომ მოსკოვი სპარსეთის ყურის კრიზისში ორმაგ თამაშს ეწევა, რაც იმით არის გამოწვეული, რომ გორბაჩოვი შიშობს, საბჭოთა კავშირს მეორეხარისხოვანი როლი არ ერგოს მსოფლიო პოლიტიკაში.

დაიწყეს მოლაპარაკება

ერაყ-ქუვეითის საზღვრის რაიონში ერაყის ავიაბაზაზე დაბა საფვანის მახლობლად, რომელსაც კონტროლს უწევენ ამერიკის ჯარები, გაიმართა ერაყის სამხედრო სარდლობისა და მრავალეროვნული ძალების წარმომადგენელთა შეხვედრა. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, მრავალეროვნული ძალების დელეგაციას მეთაურობდნენ სპარსეთის ყურის ზონაში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სარდალი, გენერალი ნორმან შვარცკოფი და არაბეთის სახელმწიფოთა ძალების გაერთიანებული სარდლობის მთავარსარდალი, გენერალ-ლეიტენანტი, საუდის პრინცი ჰალედ იბნ სულთან იბნ აბდელ აზიზი. ერაყის მხარეს წარმოადგენდნენ ოფიცრები, რომელთა წოდებასა და გვარებს არ ასახელებენ. შეხვედრამ დაახლოებით ორ საათს გასტანა.

სადამის მოწინააღმდეგენი გააქტიურდნენ

სადამის მოწინააღმდეგე ძალებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს ერაყის ქალაქები ბასრა და ენ-ნასირია. იმოწმებს რა მოკავშირეთა ჯარების მიერ დაკავებულ ერაყის სამხრეთ რაიონებში ჩამოსული ოპოზიციის წარმომადგენლებს, როიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ აჯანყებულებმა მთელი ბასრა დაიკავეს. ცნობაში ხაზგასმულია, რომ ოპოზიციური ძალების წარმომადგენლებმა მრავალეროვნული ძალების სარდლობას დახმარება სთხოვეს.

პუერტორიკოელთა გეგმები

ფაქტია, რომ ზოგიერთი იმპერიული გაერთიანებიდან ხალხი თავის დაღწევას ცდილობს. მაგალითად, საბჭოთა კავშირიდან და იუგოსლავიიდან. ეს ჩვენი დროის რეალობაა, მაგრამ არის ცოტა სხვანაირი პროცესებიც. ზოგიერთი ქვეყანა ცდილობს იმპერიულ გაერთიანებაში შესვლას. ამის მაგალითია პუერტო-რიკო. ამერიკელმა კანონმდებლებმა უარი უთხრეს პუერტორიკოელებს, რეფერენდუმის ჩატარებაზე, რომელსაც ამ კუნძულის მომავალი უნდა გადაეწყვიტა.

რეფერენდუმზე უნდა გარკვეულიყო, სურთ თუ არა პუერტორიკოელებს, იყვნენ სუვერენული სახელმწიფო, გახდნენ შეერთებული შტატების 51-ე შტატი ან იყვნენ „შეერთებულ შტატებთან თავისუფლად გაერთიანებული" სტატუსის მქონე სახელმწიფო.

პუერტორიკოელთა უმრავლესობას ამერიკის შტატად გახდომა უნდა, რაც ამერიკელთა უკმაყოფილებას იწვევს. ისინი თვლიან, რომ პუერტო-რიკო ზედმეტი ტვირთი იქნება შტატებისთვის და მისი წინ წამოწევისთვის დიდი ფედერალური ხარჯები იქნება საჭირო. სენატორი კენტ კონრადი აღნიშნავდა, რომ კუნძულის კულტურული, ისტორიული და ენობრივი განსხვავებანი ორგანულად ვერ შეეწყობა ამერიკელებს და „ახალი კვებეკი" გაგვიჩნდებაო. პრეზიდენტი ბუში რეფერენდუმის ჩატარების მომხრე იყო. მან სენატს მოწოდება გაუგზავნა, სადაც აღნიშნული იყო „თუ ჩვენ არ გავატარებთ ღონისძიებას, რომელიც ამ საკითხს გადაწყვეტს, მაშინ ჩვენ კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენებთ ამერიკელთა მსოფლმხედველობის ქვაკუთხედს, კერძოდ, ეჭვს შევიტანთ 3,5 მილიონი მოქალაქის თვითგამორკვევის საკითხში".

სენატში მოწყობილი კენჭისყრით დასრულდა ამ საკითხზე 2 წლის კამათი. გაიმარჯვეს რეფერენდუმის მოწინააღმდეგეებმა. ასე რომ პუერტორიკოელთა ოცნება გახდნენ ამერიკის 51-ე შტატი, აქედან გამომდინარე ყველა სიკეთით, გაურკვეველი ვადით გადაიდო.

ზოილინგის აზრით

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის მრჩევლის ზოილინგის აზრით გარკვეული „ჩამოთბობის" შემდეგ საბჭოეთში ავტორიტარული რეჟიმის პერიოდი დგება. იქნება ინფლაცია და ეკონომიკური ქაოსი. ამ ვითარებაში ამერიკამ არა მარტო საკუთარი სარგებლობისათვის უნდა იფიქროს, არამედ ქაოსის შემდგომი ვითარებაც უნდა განჭვრიტოს. ამიტომ, აღნიშნავს ზოილინგი, ვაშინგტონმა ცენტრთან კი არა, რესპუბლიკებთან კავშირურთიერთობის გაუმჯობესებაზე უნდა იფიქროს.

თეთრი ლაქები დატოვა

გერმანული „ბერლინერ ცაიტუნგი" აღნიშნავს, რომ ომი მოულოდნელად დასრულდა და თეთრი ლაქები დატოვა. მოკავშირეები გარანტიისათვის აკონტროლებენ ერაყის სამხრეთს, მაგრამ არ იციან, თუ როგორ აუნაზღაურებს ბაღდადი ქუვეითს, საუდის არაბეთსა და ისრაელს მიყენებულ ზარალს. მისი ეკონომიკა ხომ კარგა ხნით გაპარტახდა, ნავთობის ჭაბურღილები კი დაბომბილია, აღნიშნავს გაზეთი.

ლეინი საბჭოეთის შესახებ

ქრისტეფორე ლეინმა ნიუიორკის ჟურნალ „უორლდ პოლის ჯორნელში" გამოაქვეყნა სტატია, სადაც შეეცადა გაეანალიზებინა საბჭოეთში შექმნილი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება. მისი აზრით, დიდი საბჭოთა კავშირი კრიზისშია და შეიძლება მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ იქცეს. გორბაჩოვის ნებისმიერ შეცდომას შეიძლება ქვეყნის დაშლა მოჰყვეს, აღნიშნავს ლეინი.

ამჟამად პოლიტოლოგები საფუძვლიანად იკვლევენ თანამედროვე მსოფლიოს ორი იმპერიული გაერთიანების — საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის პრობლემებს. აქ მიმდინარე შინაპოლიტიკური პროცესები შემაშფოთებელ ინტერესს იწვევს, რადგან ცხადია, რომ იმპერიის რღვევას დიდი კატაკლიზმები მოჰყვება ხოლმე.

ლეინი საბჭოეთში მიმდინარე ეროვნულ-განმანთავისუფლებელ პროცესს ევროპის უკანასკნელი იმპერიის — ავსტრია-უნგრეთის დაშლის მოვლენებს ადარებს. როგორც ცნობილია, ამ დაშლის პროცესს პირველი მსოფლიო ომი მოჰყვა.

1914 წლის 2 ივლისს ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გრაფმა ბერხტოლდმა იმპერატორ ფრანც იოსებს განუცხადა: თუ ავსტრია-უნგრეთს სურს დარჩეს დიდ სახელმწიფოდ, მას ერთადერთი გზა აქვს — ომი გამოუცხადოს სერბიას. ავსტრია-უნგრეთის აზრით, თუ დაამარცხებდა იმ გარეშე ძალებს, რომლებიც ქვეყნის საშინაო პრობლემებზე ითბობდნენ ხელს, მაშინ მისი, როგორც დიდი სახელმწიფოს არსებობა გარანტირებული იქნებოდა. უმოქმედობის შემთხვევაში კი შედეგი აშკარა იყო — იმპერია ირყეოდა და იშლებოდა. აწონდაწონეს რა შექმნილი ვითარება, ავსტრია-უნგრეთის ხელისუფლებმა გადაწყვიტეს, რომ მშვიდობა უფრო დიდი რისკი იყო, ვიდრე ომი. მათ დაიწყეს ომი, და თუ როგორ დასრულდა იგი, ყველამ ვიცით. იმპერია დაიშალა რამდენიმე სახელმწიფოდ, რომელთა ერთი ნაწილი დღეს იუგოსლავიაშია გაერთიანებული.

საბჭოთა კავშირი, აღნიშნავს „უორლდ პოლის ჯორნელი", მრავალჯერ გადიდებული ბალკანეთია, რომელიც ამავე დროს რამდენიმე ათასი ბირთვული მუხტით არის შეიარაღებული. მისი დაშლა ობიექტურად გარდაუვალი პროცესია, მაგრამ მას შეიძლება დიდი უბედურება მოჰყვეს. საეჭვოა, რომ გიგანტურმა რუსულმა სახელმწიფომ შეძლოს არარუსული შემოგარენის გარეშე არსებობა. როგორც ზბიგნევ ბჟეზინსკი აღნიშნავდა, შეკვეცილ რუსეთს აღარ ექნება ზღვაზე გასასვლელი. სახნავი მიწები და სასარგებლო წიაღისეული. ამის საწინააღმდეგოდ მოსკოვი ბევრ სისხლს დაღვრის.

ქრისტეფორე ლეინის აზრით, ახლა ბევრი რამ ლიტვაზეა დამოკიდებული. იგი თავისებური პოლიგონის როლს ასრულებს. საბჭოეთიდან მისი გამოყოფა ძალიან არ დაეტყობა მოსკოვის ძლიერებას, მაგრამ ფსიქოლოგიური ასპექტით მისი შედეგები შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს ცენტრისთვის და შეაჩვიოს იგი მეორეხარისხოვან როლს.

ფინეთში დამთავრდა „ვეფხისტყაოსნის" თარგმნა

ფინეთში დამთავრდა ფინურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის" თარგმნა. ათ წელზე მეტი დასჭირდა მწერალ ოლავი ლინუსს, იმისთვის, რომ შეესრულებინა ეს რთული ამოცანა.

ჯერ კიდევ 1960-იანი წლების დამლევს ო. ლინუსს კავკასიაში მოგზაურობის დროს აჩუქეს ახალი ქართული ლიტერატურული ენის მამამთავრის ინგლისურად თარგმნილი პოემა.

— აღტაცებით წავიკითხე „ვეფხისტყაოსანი". მისი თარგმნის აზრი მაშინვე დამებადა, გვითხრა ფინელმა მწერალმა. — და მაინც, მაშინ ეს იდეა აუხდენელი და გადაულახავი მომეჩვენა. მაგრამ გადიოდა წლები და არაერთხელ დავბრუნებივარ ამ ქმნილებას, სანამ საბოლოოდ არ გადავწყვიტე დავხმარებოდი ჩემს ხალხს გასცნობოდა ამ მაღალჰუმანისტურ ნაწარმოებს.

70 წლის მწერალი, ფინეთის მშვიდობისათვის მოძრაობის ვეტერანი პოემამ მიიზიდა, უწინარეს ყოვლისა, პატრიოტიზმისა და მეგობრობის, პიროვნების თავისუფლების იდეებით ასკეტიზმის საეკლესიო მორალის საწინააღმდეგოდ. „ვეფხისტყაოსანზე" მუშაობისას მწერალმა მოიგონა ხერხი, რომელმაც საშუალება მისცა ორგანულად შეეერთებინა შაირის თექვსმეტმარცვლოვანი ზომა, რომლის კანონმდებელი და უბადლო ოსტატი იყო შოთა რუსთაველი, „კალევალის" ლექსის ზომასთან, რომელიც ახლობელი და ნაცნობია ფინელი მკითხველისათვის.

მუშაობა რთულად მიმდინარეობდა და მწერალი არაერთხელ მზად იყო შუა გზაზე გაჩერებულიყო. და კოლეგას — ოქსფორდელ დავით ბარეტს რომ არ შეხვედროდა. არავინ იცის, დაასრულებდა თუ არა ამ ნაშრომს. ინგლისელმა ერუდიტმა, ალბათ, მსოფლიოში ერთადერთმა კაცმა, რომელმაც თავის მშობლიურ ენასთან ერთად თავისუფლად იცის ქართული და ფინურიც, უდიდესი დახმარება გაუწია მთარგმნელს.

მათ შორის გაცხოველებული მიმოწერა გაიბა. ო. ლინუსი მუშაობდა თავის სახლში, ჰელსინკში, კალიოს ეკლესიის მახლობლად მდებარე ბინაში, ხოლო დ. ბარეტი ყურადღებით ადევნებდა თვალს მუშაობას ინგლისიდან. ფინურ ენაზე თარგმნილ თითოეულ სიტყვას იგი გულმოდგინედ უდარებდა ორიგინალს, სხვა ენებზე პოემის თარგმანებს.

ო. ლინუსმა შესანიშნავად შეძლო შეენარჩუნებინა ორიგინალის გრძნობები, სულისკვეთება და მიზნები, პოემის ტემპი და რიტმიკა. ფინურ თარგმანს რომ ვკითხულობ, რუსთაველის ხმა მესმის, მოჰყავს ტემპერაში გამომავალ გაზეთს „აამულეჰტის" დ. ბარეტის შეფასება.

წიგნის გამოსვლა დაუკავშირდა ქართული კულტურისა და ლიტერატურის დღესასწაულს, რომელიც სამხრეთ ფინეთში გაიმართება აპრილში. ამ დღესასწაულის მთავარი მოვლენა გახდება საერთაშორისო სემინარი ქალაქ ტურკუს უნივერსიტეტში, რომელზეც მიწვეულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდიაც.

მოსახლეობის გამოკითხვა ესტონეთსა და ლატვიაში

3 მარტს ესტონეთში მოეწყო მოსახლეობის გამოკითხვა, რომლის დროსაც ხმის უფლების მქონე მოქალაქეებს ერთ კითხვაზე უნდა გაეცათ პასუხი — „სურთ თუ არა ესტონეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა?". გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 83 პროცენტმა — ფაქტობრივად ესტონეთის მთელმა მოზრდილმა მოსახლეობამ. მონაწილეობას არ იღებდნენ ფსიქიურად დაავადებულები, პატიმრები და საოკუპაციო ჯარის მეომრები.

გამოკითხულთა 78 პროცენტმა ხმა მისცა ესტონეთის დამოუკიდებლობის აღდგენას.

გამოკითხვის შედეგებს იურიდიული ძალა არა აქვს, აღინიშნა პრესკონფერენციაზე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ არნოლდ რუიტელმა, მაგრამ მის შედეგებს, როგორც ესტონელი ხალხის ნების გამოხატულებაზე, დაეყრდნობა რესპუბლიკის პარლამენტი თავის შემდგომ საქმიანობაში.

• • •

ლატვიაში ჩატარებული ანალოგიური გამოკითხვის დროს ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა 88,3 პროცენტიდან დამოუკიდებელი ლატვიის სახელმწიფოს აღდგენას დადებითად გამოეხმაურა მოსახლეობის 77 პროცენტი.

გამოკითხვას ესწრებოდა ევროპისა და ამერიკის 20 ქვეყნის 120 ოფიციალური წარმომადგენელი, რომელთა ერთსულოვანი აზრით, მოსახლეობის გამოკითხვა საერთაშორისო წესების სრული დაცვით მოეწყო.

აფეთქება ვილნიუსში

3 მარტს ლიტვის კომპარტიის ვილნიუსის ოქტომბრის და საბჭოთა რაიკომების შენობის მახლობლად განლაგებული სახლების მცხოვრებლები გააღვიძა აფეთქებისა და დამსხვრეული მინის წკრიალის ხმამ.

აი რა უთხრა საქდესის კორესპონდენტს ვილნიუსის გარნიზონის სამხედრო კომენდანტმა გრიგოლ ბელოუსმა: „აფეთქება მოახდინეს უცნობმა პირებმა ადგილობრივი დროით 3 საათსა და 30 წუთზე,- დაახლოებით ორ მეტრზე რაიკომების შენობებიდან. თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის სიმძლავრეზე შეიძლება ვიმსჯელოთ უკვე იმის მიხედვით, რომ აფეთქების შედეგად დაზიანდა კიდევ ხუთი საცხოვრებელი სახლი და ერთი ადმინისტრაციული შენობა. ბედად, მსხვერპლი არ ყოფილა. ამ ფაქტის გამო პროკურატურისა და მილიციის ორგანოები ეწევიან გამოძიებას.

სომხეთში საკავშირო რეფერენდუმი არ გაიმართება

ერევანი, 1 მარტი. სომხეთის რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 182 ხმით (ერთმა თავი შეიკავა) მიიღო გადაწყვეტილება, რომ სომხეთის ტერიტორიაზე სსრ კავშირის შენარჩუნების შესახებ 17 მარტის რეფერენდუმი არ გაიმართება, რადგან იგი ეწინააღმდეგება ერთა თვითგამორკვევის უფლებას. მოეწყობა სომხეთის რესპუბლიკის რეფერენდუმი სსრ კავშირიდან გასვლის საკითხზე. საკავშირო რეფერენდუმის შედეგებს იურიდიული ძალა არ ექნება სომხეთის ტერიტორიაზე.

ირღვევა მორწმუნეთა უფლებანი

ერევანი, 1 მარტი, სომხეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა დღეს პირველ გვერდზე გამოაქვეყნეს სომხეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა და ეროვნებების საკითხთა კომისიის განცხადება, რომელშიც გამოთქმულია პროტესტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ რომ დაიხუროს ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში მოქმედი განძასარისა და ამარასის ქრისტიანული ეკლესიები. ამ მოქმედი ეკლესიების დახურვა განცხადებაში შეფასებულია როგორც ადამიანის უფლებათა და სინდისის თავისუფლების უპრეცედენტო შელახვა.

არმენპრესი.

მოლდოველები წინააღმდეგი არიან

„**სუვერენული** სახელმწიფოს საშინაო საქმეებში პირდაპირი ჩარევა, დიქტატურის დამყარების საბაბი" უწოდა მოლდოვეთის პრეზიდენტმა მირჩა სნეგურმა ქვეყნის პარლამენტის დადგენილებას „1991 წლის 17 მარტს სსრ კავშირის რეფერენდუმის ორგანიზაციისა და მისი ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ". ასეთი განცხადება გააკეთა მან წინა დღეს მოლდოვის სს რესპუბლიკის პრეზიდენტის საბჭოს სხდომაზე.

სხდომამ დაგმო მოლდოვეთის კომპარტიის ორგანიზაციები, რომლებმაც „საკავშირო რეფერენდუმის ორგანიზატორის როლი დაიჩემეს". რესპუბლიკის ტერიტორიაზე უკანონოდ გამოცხადდა ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს, მთელ რიგ საწარმოთა, კერძოდ, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებანიც დანიშნულ დღეს რეფერენდუმის მოწყობის შესახებ.

ამგვარი მოქმედება, ითქვა მოლდოვეთის სს რესპუბლიკის პრეზიდენტის საბჭოს სხდომაზე, მიმართულია „ბოლო წლინახევრის მანძილზე მოლდაველი ხალხის უწმინდესი მიღწევების" წინააღმდეგ.

იაზოვი აანალიზებს

თავდაცვის მინისტრი დიმიტრი იაზოვი საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოში გამოსვლისას შეეხო სპარსეთის ყურის კრიზისის დროს მოკავშირეთა მიერ გამოყენებულ იარაღს. მისი აზრით, საბჭოთა თავდაცვითი სისტემა დღეს შეძლებდა მოკავშირეთა ავიაციის შეკავებას, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, როგორი ვითარება იქნება 2-3 წლის შემდეგ. ერაყის არმია, რომელიც თითქმის მთლიანად საბჭოთა ტექნიკით არის აღჭურვილი, იაზოვის აზრით, იმიტომ დამარცხდა, რომ ბრძოლის დასავლური ტაქტიკა აირჩია.

შახნაზაროვის ლოგიკა

ჟურნალ „შპიგელის" კორესპონდენტის კითხვაზე, რომ ლიტველები ჰიტლერისა და სტალინის 1939 წლის შეთანხმებას განიხილავენ, როგორც ბალტიისპირეთის ანექსიის ხელშეკრულებას, პრეზიდენტ გორბაჩოვის 66 წლის მრჩეველი გიორგი შახნაზაროვი ასე უპასუხებს:

დავუშვათ, რომ ლიტველები მართალი არიან. მაგრამ ნება მიბოძეთ ასეთი მაგალითი მოვიყვანო: დავუშვათ ვინმემ გაიტაცა ქალი. 50 წლის შემდეგ მათ აქვთ სახლი, ჰყავთ შვილები, საერთო ნათესავები და კონტაქტები მეზობლებთან... ეს გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებს მხარეებს, რომელთაგან განთავისუფლება მხოლოდ სასამართლოს ძალით შეიძლება.

კოლის წერილი

გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა ანტიერაყულ კოალიციაში შემავალი ქვეყნების ლიდერებს ბუშს, მეიჯორს, მიტერანსა და ანდრეოტის გაუგზავნა წერილი, სადაც აღნიშნა, ჰუსეინზე გამარჯვება სამართლიანობის უფლებაზე გამარჯვება იყო.

ილია ჭავჭავაძის სახელით...

სამახსოვრო ჩანაწერი ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას

მოყვარეს პირში უძრახე,
მტერს პირს უკანაო

„ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მოამბეში" გამოქვეყნებულია ცნობები, რომელთაც შეიძლება ეწოდოს შეგნებული დეზინფორმაცია. ამის გამო ჩემს მოვალეობად ვრაცხ მოგაწოდოთ ჩემი მოსაზრებები.

1. „მოამბეში" გაშუქებულია ფაქტი ცენტრალური არქივის დირექტორის ვახტანგ გურგენიძის სამსახურიდან მოხსნისა, ილიას მკვლელობის შესახებ მოხსენების წაკითხვის მცდელობის გამო. თქვენი ვერსიის მიხედვით, ვახტანგ გურგენიძე, საზოგადოების აღშფოთების შედეგად, კვლავ აღდგა თავის თანამდებობაზე და როგორღაც ულოცავთ მას ამ გამარჯვებას. მიჩქმალულია მთავარი მიზეზი ხელისუფლების უკან დახევისა. კერძოდ ის, რომ პარიზის გაზეთ „რუსსკაია მისლში" გამოქვეყნდა წერილი ზ. გამსახურდიასი და მ. კოსტავასი მ. გორბაჩოვისადმი, ვახტანგ გურგენიძის დასაცავად, რომელზეც არ მოაწერა ხელი თქვენი „აღშფოთებული საზოგადოების" არც ერთმა წევრმა (თვით დიდმა „იდეოლოგებმა" და „დისიდენტებმაც" კი). იგივე წერილი გამოქვეყნდა ჟურნალ „გლასტნოსტში", რასაც მოჰყვა უცხოეთის რადიოგადაცემათა სერია. ყოველივე ამან განაპირობა ვახტანგ გურგენიძის აღდგენა თანამდებობაზე და მისი იძულებით დაბრუნება კომპარტიაში.

2. „მოამბე" აცხადებს, რომ მოსკოვში, 1987 წლის დეკემბერში გამართულ ადამიანის უფლებათა პრობლემურ სემინარზე თქვენმა საზოგადოებამ მიავლინა მერაბ კოსტავა და მასთან ერთად ვინმე მარინა ტერზიანი. მიჩქმალულია ის ფაქტი, რომ სემინარმა თავად მიიწვია მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია, როგორც ჰელსინკის ჯგუფის წევრები, მოხსენების წასაკითხად. სემინარზე მათ წაიკითხეს მოხსენებები, რომელთა შესახებ წერდა მსოფლიო პრესა და აშუქებდნენ რადიოსადგურები. ისინი იყვნენ კოორდინატორები ნაციონალური სექციისა. მ. ტერზიანს კი, რომელიც არ არის ჰელსინკის ჯგუფის წევრი, არათუ არ წაუკითხავს რაიმე მოხსენება, იგი არც კი დაუშვიათ ნაციონალური სექციის სხდომაზე გარკვეული მიზეზების გამო.

3. „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მოამბე" ჰელსინკისეული ჯგუფის ჟურნალ „მატიანეს" უწოდებს „ზვიად გამსახურდიას მატიანეს". იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ეს რაღაც ნაწარმოები იყოს ზვიად გამსახურდიასი. სინამდვილეში იქ გამოქვეყნებულია მხოლოდ მისი ერთი წერილი, დანარჩენი მასალები სხვადასხვა ავტორებს ეკუთვნით.

4. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას ხალხის ინფორმირება უნდა დაეწყო ილიას მკვლელთა მხილებით და მისი მკვლელობის ნამდვილი მიზეზების გამოვლენით. მას, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოექვეყნებინა შრომა „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა საარქივო დოკუმენტების მიხედვით" და სხვა მასალები. ეს არც ახლაა გვიან. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერაც ვერ ვხედავთ ამგვარ განზრახვას. თუ ის გაბრკოლებთ, რომ ეს მასალები გამოქვეყნდა „მატიანეში", უნდა გახსოვდეთ, რომ „მატიანე" არ აცხადებს მონოპოლიას არავითარ ინფორმაციაზე, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერთი და იგივე ინფორმაცია ქვეყნდება ზოგჯერ მსოფლიოს ყველა გაზეთში, თავის მნიშვნელობისა და ღირებულების მიხედვით (იგივე შეიძლება ითქვას ტრანსკავკასიის რკინიგზაზე და სხვა).

5. ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ და „მოამბემ" გამოაცხადეს, რომ ისინი იბრძოლებენ ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის აღსადგენად, გააშუქებენ საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხს, ძეგლთა დაცვის, ეკლესიის მდგომარეობის საკითხებს და სხვა. მათ ერთი სიტყვითაც კი არ აღუნიშნავთ ის, თუ რა წვლილი შეიტანეს ამ საკითხების გაშუქებაში ჟურნალებმა „საქართველოს მოამბემ" და „ოქროს საწმისმა" 1975-1977 წლებში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ინფორმაციის მოწოდების ამგვარი სტილი არაფრით განსხვავდება საბჭოთა პრესის მეთოდებისაგან, ასე რომ, ამგვარ „ინფორმაციებს" დაახლოებით ისეთივე ფასი აქვს, როგორც იმის მტკიცებას, რომ „მშრომელები ფიცულობენ ხუთწლედის მზეს", ან იმას, რომ „მზე ჩრდილოეთიდან ამოდის". ცალკეულ პიროვნებებზე და მოვლენებზე ტაბუს დადება და ინფორმაციის მიჩქმალვა კი ღირსეული ტრადიციაა ორუელისეული „84 წლის" სახელმწიფო პრესისა, რასაც ვერც თქვენ ვერ გაექეცით.

თუ ილიას საზოგადოება ნამდვილად ისახავს მიზნად ილიას იდეალებისათვის ბრძოლას, მან უნდა მიაწოდოს ხალხს მართალი, ობიექტური და სრული ინფორმაცია. სიყალბე და დეზინფორმაცია კი სჯობს ფილიპეს მრავალრიცხოვან „საზოგადოებებს" დავუთმოთ.

გთხოვთ წაიკითხოთ საზოგადოების სხდომაზე.

თქვენი კეთილისმსურველი

ზვიად გამსახურდია.

1988.21.1.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის განცხადება

გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" 1990 წლის 17 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის განცხადება, რომელშიც უხეშად არის გაყალბებული იმ კონფლიქტის მიზეზები, რომელიც ქარელის რაიონში მოხდა ადგილობრივ მცხოვრებლებსა და იქ ჩამოსახლებულ ეგრეთ წოდებულ „მესხეთელ თურქებს" (დვალაძის ოჯახი) შორის, მათზე თავდასხმის ორგანიზატორად გამოცხადებულია ჰელსინკის კავშირი. სინამდვილეში კი კონფლიქტი იმან გამოიწვია, რომ თბილისიდან ჩამოსულმა გ. მამულიამ და თ. ჩხეიძემ მოითხოვეს „მესხეთელი თურქებისთვის" 100 ჰექტარი მიწა გამოეყოთ. დანარჩენი ნათქვამია სტატიაში „რა მოხდა ბრეთში?", რომელიც ქარელის რაიონულმა გაზეთმა „სამრეკლომ" (1990 წ. 2 აგვისტო) გამოაქვეყნა.

ჩვენ მოვითხოვთ ეს სტატია რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდეს.

საქართველოს ჰელსინკის კავშირი

1990 წ.

რა მოხდა ბრეთში?

ამ დღეებში ქარელის რაიონში და კონკრეტულად ბრეთის საბჭოთა მეურნეობაში შექმნილი ვითარება, რომლის თაობაზეც ინფორმაცია გამოაქვეყნა გაზეთმა „კომუნისტმა", აუცილებელ განმარტებას საჭიროებს.

...დვალაძეები, ე. წ. თურქმესხები, ქარელის რაიონში ერთი წლის წინ ჩამოსახლდნენ. ამ ფაქტის ირგვლივ ხშირად გაისმის სხვადასხვა მოსაზრება. უმრავლესობა კი მას საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახელს უკავშირებს.

აწ განსვენებული მერაბ კოსტავა მართლაც ეწვია ქარელის რაიონს და დვალაძეების ქარელის რაიონში ჩამოსახლების თაობაზე მოლაპარაკება ჰქონდა ადგილობრივ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან. ვიზიტისას მას თან ახლდნენ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წარმომადგენლები თბილისიდან.

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისათვის ქართულ ეროვნულ მოძრაობას ერთიანი პოზიცია უკავია დეპორტირებული თურქმესხების მიმართ. მყარდება კონტაქტები ქართული წარმოშობის ოჯახებთან, რომლებსაც, საფიქრალია, რომ შენარჩუნებული აქვთ ეროვნული გენი და ჯიში, გარკვეული ადათ-წესები, აქვთ ქართული ორიენტაცია, რომ შესაძლებელია მათი ეროვნული სულის გამოღვიძება, მივიწყებული ტრადიციების აღდგენა-დაბრუნება, ერთი სიტყვით, ხელახალი „გაქართველება". იწყება მათი ნაწილობრივი ჩამოსახლებაც საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, მათ შორის ქარელის რაიონშიც (მაგრამ, როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, ვარაუდი ნაადრევი გამოდგა და „ქართული გორის" თურქ-მესხთა „მოქცევა" თითქმის შეუძლებელი, უიმედოც კი გახდა).

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ იმ პერიოდში ჯერ კიდევ არ მომხდარა „ფერგანის ტრაგედია" და საქართველოს საზღვრებთან არ არის მომდგარი „მშვიდობიანი მარშისათვის" „მშობლიურ მიწაზე" ე. წ. თურქმესხთა 400-ათასიანი არმია; დვალაძეების გვარი გარკვეულ ისტორიულ რეალობას წარმოაჩენს და, საერთოდ, მათი „გადმოქართველება" არ იწვევს არსებით ეთნიკურ დესტაბილიზაციას. მათი ჩამოსახლებაც მიმდინარეობს ყოველგვარი ექსცესებისა და ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გარეშე. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ თვით ბრეთის მეურნეობა მრავალეროვნულია მყარი ტრადიციებით.

მოკლედ, დვალაძეები ბრეთის მუშაკთა კოლექტივში თითქმის სრულიად უმტკივნეულოდ ჩაეწერნენ. მიიღეს ბინა, დააკმაყოფილეს სამუშაოთი. ბავშვებმა დაიწყეს სიარული ქართულ სკოლაში. უფროსი თაობის ადამიანებმაც ისწავლეს რამდენიმე ქართული სიტყვა და მეზობლებსაც ქართული „გამარჯობით" ესალმებოდნენ. ხალხიც შეეგუა, შეეჩვია ამ ვითარებას და დვალაძეებიც მშვიდად გრძნობდნენ თავს მაშინაც კი, როდესაც მთელი ქვეყანა შეძრა: „ფერგანის ტრაგედიამ". მათ სიმშვიდეს არაფერი ემუქრებოდა შემდგომშიც. ცხოვრება ნორმალური კალაპოტით მიდიოდა, ლუკმა-პური და ჭირიც და ლხინიც საზიარო ჰქონდათ...

მაშ ვინ და რამ აამღვრია წყალი, რამ აიძულა დვალაძეები განეცხადებინათ: ჩვენ ქარელის რაიონში აღარ გვედგომება და გთხოვთ სხვაგან გამოგვინახოთ საცხოვრებელიო? რატომ განეწყო თვით ბრეთის უწყინარი მოსახლეობაც ამავე მოთხოვნით? საერთოდ: რატომ შეიქმნა ეს კონფლიქტური და ყველასათვის მოულოდნელი სიტუაცია?

ვიდრე უშუალოდ ამ საკითხს შევეხებოდეთ, უნდა გავიხსენოთ ერთი მომენტი. დვალაძეებს ერთი ხანდაზმული ადამიანი გარდაეცვალათ და ბრეთელებმაც, როგორც ჩვენს ტრადიციას ეკადრება, გადაწყვიტეს მხარში ამოსდგომოდნენ ჭირისუფალთ, შესთავაზეს გარდაცვალების წესისამებრ დაეკრძალათ ქართულ სასაფლაოზე. დვალაძეებმა ამაზე უარი თქვეს: მუსლიმანურ წესს ვერ დავარღვევთო და ხალხიც შეურიგდა ამ მოთხოვნას. გამოიყო ცალკე განსასვენებელი, აუგეს წესიც და მიცვალებული მიაბარეს ქართულ მიწას... ყველაფერი ისევ თავისი წესით და რიგით გაგრძელდა.

დვალაძეების ბავშვები ეუფლებოდნენ ქართულ ენას, სწავლობდნენ ქართულ სიმღერებს, მეგობრობდნენ თანატოლებთან. უფროსებმა შრომისმოყვარეობა გამოიჩინეს. მხარში ამოუდგნენ მეურნეობის მუშებს. იქნება „შერეული ოჯახებიც" შექმნილიყო და დვალაძეებიც საბოლოოდ დამკვიდრებულიყვნენ ქართულ მიწაზე, მაგრამ...

...თავიდანვე შესამჩნევი გახდა ერთი ფრიად არასასიამოვნო ტენდენცია: ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები (თბილისიდან და ნაწილობრივ გორიდან), რომლებმაც იკისრეს დვალაძეების ბრეთში ჩამოსახლება და მათზე მზრუნველობა, არ იზიარებდნენ ქარელის რაიონის ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების აზრს, ყველანაირად გვერდს უვლიდნენ მათ და ცალმხრივი, „სეპარატისტული" ურთიერთობა ჰქონდათ დვალაძეებთან. ასევე ექცეოდნენ ბრეთის ადგილობრივ მოსახლეობასაც. საგულისხმოა ასეთი ფაქტი: როდესაც გურამ მამულია და მისი თანამოაზრენი ესტუმრნენ ბრეთს, საერთოდ არ შეხვედრიან იქვე მდგარ ბრეთელებს და პირდაპირ დვალაძეების საცხოვრებლისაკენ გაემართნენ. ამას მოჰყვა ხაზგასმული ამბორი (რასაც, ბუნებრივია, არავინ კრძალავს, მაგრამ...), ურთიერთმოკითხვა და... პირდაპირი ვიზიტი მეურნეობის დირექტორთან, რამაც (ესეც ბუნებრივია) მათ მიმართ ანტიპათიურად განაწყო ბრეთის მკვიდრი მოსახლეობა. ვიდრე ამ ინციდენტს შევეხებოდეთ, დავუბრუნდეთ რამდენიმე დღის წინანდელ სიტუაციას.

დაახლოებით ერთი კვირით ადრე რაიონში ცნობილი გახდა, რომ გურამ მამულია ქარელში ჩამოსვლას აპირებდა მოთხოვნით: რაიონში მცხოვრებ თურქმესხებისათვის გამოეყოთ 100 ჰექტარი მიწის ფართობი, სადაც უცხოელების დახმარებით აპირებდა მეცხოველეობის რაღაც საწარმოს დაარსებას. ამ ცნობამ უარყოფითი რეაქცია გამოიწვია არა მარტო ბრეთში. მიზეზი გასაგებია. ქარელის რაიონში მწვავე დემოგრაფიული სიტუაციაა. არის ბევრი ქართული ოჯახი, რომელსაც არ გააჩნია სასახლკარო მიწის ნაკვეთი. ხოლო მიწის ნაწილი კანონების ყოველგვარი დარღვევით მიჰყიდეს არაქართველ მოსახლეობას. ამის თაობაზე დაიწერა რესპუბლიკურ პრესაშიც და, ვფიქრობთ, ეს კარგად უნდა ცოდნოდა ყველას, მათ შორის გ. მამულიას. მაგრამ მამულია მაინც ჩამოვიდა. ამჯერადაც იგი ხალხს არ შეხვედრია. პირდაპირ რაიკომს ესტუმრა და თავისი მოთხოვნა — 100 ჰექტარი მიწის გამოყოფის თაობაზე — კვლავ გაიმეორა.

როგორც პარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ჯიქურაშვილმა განაცხადა, მამულიას უარი ეთქვა მიწის გამოყოფაზე. ამის შემდეგ გ. მამულია პირველი მდივნის კაბინეტიდან პირდაპირ გაემგზავრა თბილისს.

მოსალოდნელი იყო, რომ გ. მამულია, რომელიც, როგორც პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელებმა განაცხადეს, ზუსტად გაარკვიეს შექმნილ სიტუაციაში და მამულზე უარი უთხრეს, მეორედ, იმავე მოთხოვნით აღარ უნდა ჩამოსულიყო ქარელის რაიონში. მაგრამ მაინც ჩამოვიდა, ამჯერად თამარ ჩხეიძესა და თავის სხვა თანამოაზრეებთან ერთად. ჩავიდა პირდაპირ ბრეთში და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დვალაძეებთან შეხვედრის შემდეგ მეურნეობის დირექტორს ესტუმრა თავისი პრინციპული „100-ჰექტარიანი" ულტიმატუმით...

ამთავითვე უნდა ითქვას: არავითარი „შეტაკება" და მუშტიკრივი „თურქმესხებსა" და ბრეთის მოსახლეობას შორის არ მომხდარა... ინციდენტი დაიწყო ბრეთის ადგილობრივ მოსახლეობასა და მამულიას ჯგუფს შორის იმ გამომწვევი საუბრის შემდეგ, რაც თბილისელმა სტუმრებმა ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებს გაუმართეს. ამის შემყურე დვალაძეებმა, „თავისიანებად" ჩათვალეს რა თბილისელი სტუმრები, გაბედეს და ხელი აღმართეს თავიანთ ბრეთელ მეზობლებზე, ქართველებზე...

...მეურნეობის დირექტორის კაბინეტში, სადაც მიმდინარეობს ვითარების შეფასება, რომელსაც ესწრებიან რესპუბლიკის მთავრობისა და პარტიის ხელმძღვანელები, დვალაძეებს ეკითხებიან:

— რატომ აღმართეთ ხელი თქვენს ქართველ მეზობლებზე, რომლებთანაც მომავალში აპირებთ ცხოვრებას?

— ჩვენ შევცდით... თბილისელებს გამოვესარჩლეთ...

— ამის შემდეგ რას ფიქრობთ?

— ვფიქრობთ, რომ... ჩვენი აქ ცხოვრება აღარ . შეიძლება, გთხოვთ დაგვეხმაროთ, საცხოვრებელი ადგილი შეგვიცვალონ თუნდაც რესპუბლიკის გარეთ...

— რა აზრისაა ადგილობრივი მოსახლეობა?

— ამბობენ, რომ შექმნილ სიტუაციაში სხვა გამოსავალი არ არის... შესაძლო გართულებისა ეშინიათ, დვალაძეებს მშვიდობიანად გავაცილებთ, საჭირო დახმარებასაც გავუწევთო.

ერთ-ერთ ადგილობრივ მცხოვრებ ქალს თვალები აუწყლიანდა: — იცით, ბავშვები მეცოდება, შეეჩვივნენ ჩვენს შვილებსა... ღმერთმა ხომ იცის, რომ ჩვენი ბრალი არ არის.

დვალაძეების ერთ ქალს ცოტა ხნის წინ უმშობიარია. სახალხო ფრონტის ბრეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დ მღებრიშვილი წინადადებას სთავაზობს დვალაძეებს: ის ქალი თავისი მეუღლითა და ბავშვით ჩვენს ოჯახში დარჩეს ვიდრე საჭიროა, ყურადღებას და მზრუნველობას არ მოვაკლებთო.

გადაწყდა, რომ დვალაძეები დროებით გორის რაიონში გაჩერდებიან, იქიდან კი იზრუნებენ მათ გადაყვანაზე მათივე სურვილის გათვალისწინებით...

ამჟამად დვალაძეები გორის რაიონში არიან. მათ მზრუნველობენ გორის ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები. ამარაგებენ საკვებით, ინვენტარით. მოვინახულეთ ჩვენც. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ დვალაძეები მშვიდობიანად გაემგზავრონ მათთვის სასურველ ადგილას.

ის, რაც მოხდა ბრეთში, არასასიამოვნო განცდებს და გაუგებრობასაც იწვევს. ნაპირიდან გადმოხეთქილ მდინარეს კი უკან ველარ დააბრუნებ. მაგრამ კითხვას აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი: ხომ შეიძლებოდა, რომ ეს არ მომხდარიყო?

შეიძლებოდა.

შეცდომა მაშინ იქნა დაშვებული, როდესაც „თურქ-მესხების" ჩამოსახლებისას ადგილობრივ მოსახლეობას არაფერს დაეკითხნენ, არ გაითვალისწინეს მათი აზრი, მათი პრობლემები, ხოლო შემდეგ არავინ დაინტერესებულა, როგორ, რა გზით ვითარდებოდა ჩამოსახლებულთა ურთიერთობა ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობასთან.

ჩვენი აზრით, გაუმართლებელი პოზიცია ეკავა ეროვნული მოძრაობის ზოგიერთ წარმომადგენელს. ცალმხრივმა კონტაქტებმა დვალაძეებთან, ადგილობრივი ეროვნული მოძრაობის იგნორირებამ, უმართებულო მოთხოვნებმა, მოსახლეობასთან კონფლიქტურმა დამოკიდებულებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ვითარების გამწვავება.

თავიდანვე უპრინციპო, გაუბედავი პოზიცია ეკავათ ამ საქმის მიმართ რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათ ვერ შეძლეს დაერწმუნებინათ პროფესორი კაცი, რომ ქარელის რაიონში არ არის არავისზე გასაცემი ზედმეტი მიწა და ამ საკითხზე მეორედ აღარ ჩამოსულიყო.

ალბათ საჭირო იყო თავიდანვე მეტი აქტიურობა გამოეჩინათ ეროვნული მოძრაობის ადგილობრივ ორგანიზაციებს. თუმცა მათი ძალისხმევა და თავგამოდება რომ არა, ვითარება შეიძლება უკიდურესად გამწვავებულიყო...

საქართველოს ეროვნული მოძრაობა გადამწყვეტ მიჯნაზე დგას. რაც უფრო ვუახლოვდებით თავისუფლების მწვერვალს, მით უფრო ეკლიანი და ქვა-ღორღოვანი ხდება ეს გზა. ახლა ყოველი მოუფიქრებელი ნაბიჯი, სიტყვა, ქმედება ჩვენი მტრის წისქვილზე ასხამს წყალს, მტრისა, რომელიც ცდილობს მთელი ჩვენი ეროვნული ენერგია ხვიმირაში ჩაუშვას და ნამცეცებად, მტვრად აქციოს. ჩვენ უნდა მოვერიდოთ ხელოვნურ ეროვნულ კონფლიქტებს, რომელიც მტრის ერთ-ერთი უმთავრესი იარაღია ჩვენსავე წინააღმდეგ, უნდა ავუხსნათ ყველა არაქართველს: თუ ერთად ცხოვრება გვინდა, ერთად უნდა ვიყოთ ახლა, ამ გადამწყვეტ დღეებში, ერთად მოვიპოვოთ ადგილი მზის ქვეშ წმინდა გულითა და სუფთა ხელებით.

მასალა მოამზადდა „მრგვალი მაგიდის" ქარელის რაიონული ორგანიზაციებისა და გორის სახალხო ფრონტის წარმომადგენელთა მონაწილეობით

ქმნა მართლისა...

გააქვთ სწორი ინფორმაცია

რესპუბლიკების დამოუკიდებლობისკენ მისწრაფებას ცენტრი გაავებული ეღობება წინ. ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, შეინარჩუნოს პატრიოტთა სისხლში გასვრილი ხელებით შეკოწიწებული „კავშირი". ქართველ ხალხს ეს არ ესწავლება, რადგან ის იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა კრემლის მუხანათობა.

ეკონომიკური ბლოკადა, ეთნოკონფლიქტების ინსპირირება, აშკარა ინტერვენცია, შავბერეტიანთა „თვითნებური" თავდასხმები ეროვნულ ძალებზე... ეს, იმ არსენალის არასრული სია, რომელსაც ცენტრი იყენებს თავისუფლების დასათრგუნველად. ყოველივე ზემოთქმულს ემატება ინფორმაციული ომიც, რომლითაც ცენტრისკენული ძალები ცდილობენ ეროვნული ძალების სახელის გატეხვასა და დისკრედიტაციას, შავის თეთრად გასაღება მათთვის, როგორც იტყვიან, „არ ახალია, ძველია", მაგრამ რაც ამ ბოლო დროს ხდება შიდა ქართლის მოვლენების გაშუქებისას ცენტრალური ტელევიზიითა და იმპერიული პრესით, ყოველგვარ საზღვარს სცილდება. მათი კინოკამერა რატომღაც მხოლოდ ოს ლტოლვილებს ხედავს, მათი ჟურნალისტებიც რატომღაც მხოლოდ ერთი თვალით ხედავენ და ერთი ყურით ისმენენ და მათზეც ლიბრი აქვთ გადაკრული, რომლიდანაც ყველაფერი შებრუნებით ჩანს და ისმის.

ამ უტიფრად გამოცხადებული ინფორმაციული ბლოკადის გარღვევას ცდილობს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ერის სახელი და პატიოსნება. ასეთ ძალებში, რაღა თქმა უნდა, ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უკავია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სწორედ მათ სხვებზე მეტად ხელეწიფებათ ჭეშმარიტების გატანა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ...

ახლახან ლენინგრადიდან დაბრუნდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრის ხელმძღვანელი თენგიზ დიხამინჯია, რომელიც იქ მიწვეული იყო ლენინგრადის საოლქო საბჭოს მიერ. ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება ლენინგრადელთა განწყობისა და დამოკიდებულების გარკვევა ჩვენს მიმართ. ეს ქალაქი ხომ ცნობილია თავისი დემოკრატიული ტრადიციებით.

— რით იყო განპირობებული თქვენი ლენინგრადში გამგზავრება?

— ლენინგრადის საოლქო საბჭომ ლენინგრადის საქალაქო საბჭომ და სათვისტომო „ივერიამ" გვთხოვა შეხვედრა ოსების საკითხთან დაკავშირებით. მათ უნდოდათ ობიექტური ინფორმაციის მიღება. როგორც ჩანს, ნევისპირელებმა კარგად იციან, რომ უაზრობაა ცენტრალური ტელევიზიითა და პრესით გადმოცემულ ამბებზე დაყრდნობა ამა თუ იმ მოვლენის შესწავლისას. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ინფორმაციული ბლოკადის გარღვევა. მაგრამ, როგორც ჩანს, დეზინფორმაცია მაინც აკეთებს თავისას. მაგალითად, თუ ადრე ჩვენს მოძრაობას მხარს უჭერდა იქაური პარლამენტის 2/3, ახლა მათი რიცხვი შემცირდა. ეს აშკარად ვიგრძენით შეხვედრის პირველ წუთებში, ჟურნალისტები ამ დროს არცთუ კეთილგანწყობით გამოირჩეოდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც მე და ბატონმა თენგიზ ბუაჩიძემ დავანახვეთ რეალური სინამდვილე, დამოკიდებულება აშკარად შეიცვალა. ჩვენი ინფორმაცია ძირითადად ეყრდნობოდა ოფიციალურ მასალებს და ციფრობრივ მონაცემებს, რაშიც ეჭვის შეტანა შეუძლებელია. შეხვედრის ბოლოს, რომელიც ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, აშკარად დავინახეთ, რომ ჩვენს პრობლემებზე ბუნდოვანი წარმოდგენა გაიფანტა.

შეხვედრის შემდეგ ლენინგრადის საოლქო საბჭოს წარმომადგენლებმა გვითხრეს, რომ სიტყვით გამოვსულიყავით საბჭოს სხდომაზეც, მაგრამ, სამწუხაროდ, დროის სიმცირის გამო ეს არ მოხერხდა. თუ საშუალება იქნება, მომავალში აუცილებლად გამოვიყენებთ ამ შესაძლებლობას.

— საინტერესოა, შეხვდით თუ არა სობჩაკს, და თუ შეხვდით რა შეიძლება ითქვას მის პიროვნებაზე, როგორ უყურებს იგი რესპუბლიკების დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას?

— შევხვდით ანატოლი სობჩაკს. ეს კაცი ჩვენი ხალხის წარმოდგენაში ასახულია როგორც თავგამოდებული ქომაგი, სხვათა შორის, მეც დაახლოებით ასეთივე შეხედულება მქონდა მასზედ, მაგრამ ამ საუბრის შემდეგ სულ სხვა პოზიციაზე დავდექი, ჩემი აზრით, სობჩაკი არის ადამიანი, რომელიც განასახიერებს გორბაჩოვის რაფინირებულ, დახვეწილ ვარიანტს. ის პრეზიდენტთან შედარებით გაცილებით დახვეწილია, ინტელიგენტურია, საქმისადმი დიპლომატიური მიდგომა აქვს. ამიტომ შორიდან დიდ დემოკრატად და ადამიანის უფლებათა დამცველად გვესახება, მაგრამ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ფაქიზი ნიღბის უკან ისეთივე იმპერატიული სული იფარებს, როგორიც ძირითადად ტრიალებს კრემლში. ჩვენდა გასაკვირად, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური წარმომადგენლები ვიყავით, მან აშკარად დაგვიწყო ჭკუის დარიგება, ისე, როგორც სჩვევიათ რუსების უმრავლესობას, ეს, ცოტა არ იყოს, უტაქტობად მოგვეჩვენა მისი მხრიდან. სხვა სიტუაციებში სობჩაკის ასეთი პოზიციები არ ჩანდა. მისი აზრით, ე. წ. სამხრეთ ოსეთის საკითხში შეცდა საქართველოს პარლამენტი, რადგან თითქოსდა ვერ გაითვალისწინა კრემლის ავანტიურა. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადებაზე რეაგირება არ უნდა მოგვეხდინათო, მაგრამ ჩვენ ფაქტების მოხმობით დავანახვეთ, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება სწორი იყო.

ეს აზრი რომ სუბიექტურად არ მიიჩნიონ, მოგაწვდით ამონაწერებს რუს დემოკრატთა ნაწერებიდან. მაგალითად, ყველასთვის ცნობილი ტატიანა კალიაგინა ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში, „ფაქტობრივად სობჩაკი გახდა პრეზიდენტის დიქტატურის ხელისშემწყობი და თანამგზავრი"... ამ აზრს უფრო ამძაფრებს ლენინგრადის საოლქო საბჭოს დეპუტატი ვ. სვოიბედა თავის სტატიაში, „უცნობი სობჩაკი", რომელიც დაიბეჭდა „ვეჩერნი ლენინგრადში" მიმდინარე წლის 17 იანვარს. მოვიყვან სიტყვა-სიტყვით: „უცნაურად გამოიყურება აგრეთვე რუსულ დროშასთან დაკავშირებული ისტორია, ეს დროშა გაჩნდა ლენინგრადის საბჭოს სხდომათა დარბაზის აივანზე, მეორე სესიის დროს. სობჩაკი, რომელმაც არჩევნებში გაიმარჯვა ამ დროშის ქვეშ და რომელიც არა ერთხელ გამოსულა ამ დროშით მიტინგებზე, უცებ წყვეტს სესიის სხდომას და იძახებს დაცვას, რათა დარბაზიდან მოაშოროს დროშა და დეპუტატთა ის ჯგუფი, რომელიც ცდილობს რუსეთის სიწმინდის დაცვას. ამავე დროს სობჩაკი ყვირის: „კამერა, არ აჩვენოთ აივანი"... როგორც ხედავთ, აქ კომენტარი მართლაც ზედმეტია. ამავე სტატიით სობჩაკი შეგვიძლია დავინახოთ ნაძალადევად შეთითხნილი კავშირის თავდადებით დამცველად, კერძოდ ვკითხულობთ: „წინა საახალწლო პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ არის სსრკ-ს შენარჩუნების მომხრე, რითაც შენიღბულად მოიწონა ლიტვის სამარცხვინო ბლოკადა"

ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდეს, რაღა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს კონტაქტების აუცილებლობას, მაგრამ ურთიერთობა თანასწორობის პრინციპზე უნდა იყოს დაფუძნებული. ჩვენ უპირველეს ყოვლისა იმათთან ვითანამშრომლებთ, ვინც ჭეშმარიტად დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფის.

— ბატონო თენგიზ, როგორც აღნიშნეთ, შეხვედრა მათი ინიციატივით შედგა, მაინც, უწინარესად, რა აინტერესებდათ ჩვენს შესახებ?

— მათი ინტერესი ძირითადად ოსეთის საკითხით შემოიფარგლებოდა. როგორც უკვე გითხარით, აშკარად იგრძნობოდა დეზინფორმაციით გამოწვეული უარყოფითი დამოკიდებულება.

ჩვენ განვუმარტეთ, რომ ეს ეთნოკონფლიქტი არ არის, რომ ეს არის ბრძოლა დემოკრატიულ და ცენტრალურ ძალებს შორის. რომ ბევრი გამყალბებელი ცდილობს ხალხს დაანახვოს კონფლიქტის არარსებული გლობალური მასშტაბები. მაგრამ სინამდვილეში დაპირისპირება მხოლოდ ლოკალურია. ამაზე მეტყველებს თვით კონფლიქტის გეოგრაფიული არეალი. ლენინგრადელებს გავაგებინეთ, რომ საქართველოს ბევრ რაიონში ცხოვრობენ ოსები, მაგრამ იქ არ შეინიშნება არავითარი დაძაბულობა, რაც ერთხელ კიდევ მეტყველებს იმაზე, რომ ბრძოლა მიმდინარეობს არა ოს და ქართველ ხალხს შორის, არამედ დამოუკიდებლობისაკენ მსწრაფ საქართველოსა და კრემლის ძალებს შორის, გზასაცდენილი ოსები მხოლოდ ბრმა იარაღია იმპერიული ძალების ხელში.

— საინტერესოა, თუ როგორ უყურებენ თვითონ ლენინგრადელები რესპუბლიკების დამოუკიდებლობის საკითხს?

— დადებითად, ეს ნათლად ჩანდა მათი ტონით, ჩვენდამი დასმული შეკითხვებით და, საერთოდ, მიმდინარე პროცესების შეფასებით.

ასეთი სულისკვეთება ცხადად გამოიკვეთა მიტინგზე, რომელიც ჩატარდა 23 თებერვალს რუსეთის დემოკრატიული კავშირის ინიციატივით, და რომელშიც ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა. სიტყვით გამოვიდა სათვისტომოს წარმომადგენელი ვ. სიხარულიძე. მიტინგი ძირითადად ელცინის მხარდასაჭერად და გორბაჩოვის წინააღმდეგ იყო მიმართული. მასში მონაწილეობდნენ წარმომადგენლები მოლდავეთიდან, უკრაინიდან და სხვა რესპუბლიკებიდან, აგრეთვე რუსეთის დემოკრატიული ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი. იქ აშკარად გამოიხატა ჯანსაღი ძალების პოზიცია.

— გაგრძელდება თუ არა ასეთი თანამშრომლობა?

— ლენინგრადთან თანამშრომლობა შესაძლებელია, დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით ამ ქალაქს საინტერესო ისტორია აქვს, რაც კარგად ისახება თანამედროვეობაშიც, ალბათ ჩვენდამი შედარებით პოზიტიური დამოკიდებულება ამითაც არის განპირობებული. საერთოდ კი პროგრესულ ძალებთან ურთიერთკავშირი ყველგან შესაძლებელი და მისაღებია. ასეც რომ არ იყოს, მაინც უნდა ვცდილობდეთ კონტაქტების დამყარებას, თუნდაც იმიტომ, რომ ვიცით რას მოიმოქმედებს ცენტრი ჩვენს მიერ საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობაზე უარის თქმის შემდეგ. ჩვენი გამოსვლებით უნდა დავანახვოთ მსოფლიოს საზოგადოებას, რომ მოსალოდნელია ინტერვენცია. ამ საფრთხეზე ყურადღების მიქცევა აუცილებელია, რათა ახლავე შევქმნათ საქართველოს მხარდაჭერისათვის ნიადაგი.

— ბატონო თენგიზ, თქვენ ბრძანეთ, რომ საჭიროა ურთიერთობები. საინტერესოა, რა პერსპექტივებია ამ მხრივ?

— მსოფლიოს ინტერესი ჩვენდამი გაცხოველებულია, ჩვენც, შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ, სწორი ინფორმაცია მივაწოდოთ უცხოელ კორესპონდენტებსა და საინფორმაციო სააგენტოებს. მათთვის ვაწყობთ ბრიფინგებსა და შეხვედრებს. გარდა ამისა, განზრახული გვაქვს უცხოეთის ქვეყნებთან საკორესპონდენტო პუნქტების გაცვლები. აგრეთვე, ახლების ჩამოყალიბება. მოგეხსენებათ, ჩვენი კომუნიკაციის საშუალებების გადამკიდე, ძალზედ ძნელია ამის სრულყოფილად გაკეთება, მაგრამ, ვფიქრობთ, მალე ამ მხრივ ბევრი რამ მოგვარდება.

— გისურვებთ წარმატებებს!

— გმადლობთ.

ესაუბრა ბელა ნატროშვილი

ღია წერილი ცრუ პატრიოტებს

(გ. ჭანტურიას, ი. სარიშვილს, ვ. მთავრიშვილს, ზ. ჟვანიას, ვ. ძაბირაძეს, ტ. ღვინიაშვილს და სხვებს)

წავიკითხეთ თქვენი მიმართვა ხალხისადმი, სადაც თქვენ გმობთ თ. ჩხეიძის სახლთან 2 თებერვალს გამართულ მიტინგს და აცხადებთ მას სუკ-ის მოწყობილად, ხოლო თ. ჩხეიძეს ლამის ეროვნულ გმირად სახავთ, რომელსაც, თურმე, სუკი დევნის, თუ ასეა, იქნებ გვიბრძანოთ, როგორ ხდება, რომ ორი კაცის მკვლელი დღემდე უპატრონოდ დაპარპაშებს და მას მილიცია უპატრონოდ ხმას არ სცემს? განა სუკისთვის მკვლელის დაპატიმრებაზე იოლი რა იქნებოდა, თუ იგი მისთვის მართლაც არასასურველი პიროვნებაა? ან იქნებ ისიც განაცხადოთ, რომ მას არავითარი ბრალი არ მიუძღვის მ. კოსტავასა და ზ. ჭავჭავაძის მკვლელობაში?

რად უმალავთ ხალხს იმ ფაქტს, რომ ზემოხსენებულ მიტინგს წინ უსწრებდა ჩვენი საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები სხვადასხვა მოთხოვნით თვით სუკისა და ცკ-ს შენობასთან, რომ დღესაც გრძელდება ჩვენი აქციები და შიმშილობა თვით ცკ-ს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სხვა ოფიციალური დაწესებულებების შენობებში? თუ თქვენ მართლაც ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები ხართ, ერთხელ მაინც უნდა დაინტერესებულიყავით სამაჩაბლოს ქართველობის ბედით, მათი ტკივილებით, უნდა მოსულიყავით ჩვენს აქციებზე, მაგრამ ნაცვლად ამისა, თქვენ მხარს უჭერთ „ადამონ ნიხასის" დამქაშს, თ. ჩხეიძეს, რომელიც თავისუფლად დაბრძანდება ცხინვალში (სადაც ქართველებს ქუჩაშიც არ აჭაჭანებენ), შედის საავადმყოფოში, ფოტოსურათებს უღებს ოს დაჭრილებს და ფირებს უცხოეთში გზავნის ქართული ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციის მიზნით. ისიც ცნობილია, რომ იგი ერთხელაც არ შეხვედრია სამაჩაბლოს ქართველებს და არც გორის საავადმყოფოში მოუკითხავს ქართველი დაჭრილები. უფრო მეტიც, მან მონაწილეობა მიიღო ოსების მიტინგში, სადაც თავი გასაღა მერაბ კოსტავას ქვრივად და ვითომდაც სოლიდარობა გამოუცხადა „ადამონ ნიხასს". დღეს კი ასეთი პიროვნება და მისი დამქაშები „ზნეობას" გვიქადაგებენ.

თქვენ ის ხალხი ხართ, ვინც პრესაში ქილიკობდა და გმობდა 23 ნოემბრის აქციას, რაც ოსმა სეპარატისტებმა ხელზე დაიხვიეს და დღეს თქვენს სახელს ფიცულობენ. ამის მიზეზი ისიცაა, რომ თქვენ თეიმურაზ ხევისთავის პოზიციიდან გმობთ ყოველგვარ აქტიურობას, ოსი ტერორისტების წინააღმდეგ მიმართულს, და „ჭაყოს საქმეებში ჩაურევლობას" ქადაგებთ, რაც დღეს ღალატის ტოლფასია. ამიტომაც „გაუგეთ" თქვენ ერის მოღალატე ჩხეიძეს, რომელიც დღესაც „იღვწის" „ადამონ ნიხასის" პოზიციების გასამტკიცებლად და აგრეთვე საქართველოში თურქების ჩამოსახლებისათვის. ზოგიერთი თქვენგანი ჯერ კიდევ შარშან „შუბლის გახვრეტით" ემუქრებოდა ჩხეიძის საზოგადოების წევრებს მსგავსი საქციელისთვის (რაც ტელევიზიამიც ვიხილეთ), დღეს კი მათთან ალიანსშია. რამ გამოიწვია ეს დაახლოება და შეხმატკბილება?

თქვენ წყალს ამღვრევთ, როდესაც ამტკიცებთ, ჩხეიძის დაპატიმრებას სუკს სთხოვენო. ვინ არ იცის, რომ ავარიისთვის დაპატიმრება სუკს არ ეხება. სინამდვილეში ამ მოთხოვნით ხელმოწერები შეტანილია პროკურატურაში და არა სუკში. ხელისმომწერებმა კარგად იციან, რომ მას არავინ დააპატიმრებს, მაგრამ მათი მიზანია გამოვლენა იმისა, რომ სწორედ სუკი და ცკ მფარველობენ თ. ჩხეიძეს, რაც დღეს ყველასათვის ნათელი გახდა. ამის გამო თქვენი წერილიც ხსენებული ინსტანციებიდან ინსპირირებულად მიგვაჩნია ჩხეიძის დასაცავად, რომელმაც კრემლს და სუკს უდიდესი საქმე გაუკეთა მერაბ კოსტავას ფიზიკური მოსპობით.

თქვენი წერილის მავნე, ანტიეროვნულ ხასიათზე ისიც მიუთითებს, რომ მას ხელს არ აწერს არც ერთი ჭეშმარიტი ლიდერი ეროვნული მოძრაობისა, ცრუ ლიდერების გზით კი არასოდეს არ წავა ქართველი ერი.

1990 წ. თებერვალი.

სამაჩაბლოს ქართველობა

(80-მდე ხელისმოწერა)

შიდა ქართლი

ვითარება სამაჩაბლოში

სულ უფრო მწვავდება ვითარება ცხინვალისა და ყორნისის (ყოფილი ზნაურის) რაიონებში. 3 მარტის საღამოდან 4 მარტის დილამდე ოსი ექსტრემისტები კვლავ უშენდნენ ცეცხლს ქართულ სოფლებს — თამარაშენსა და ოქონას. მათ დიდძალი რაკეტები დააყარეს სოფელ ოქონას. წინასწარი მონაცემებით მსხვერპლი არ არის. ბანდიტური თავდასხმა მოხდა სოფელ დისევშიც, სადაც ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ ქართველები და ოსები.

თვით ცხინვალში მთელი ღამის განმავლობაში ისმოდა კარტი-კუნტი სროლა, დაწვეს ქართველების სამი საცხოვრებელი სახლი.

4 მარტს დილით შედარებით სიმშვიდე იყო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი,

საქინფორმი

განცხადება

ყურადღება!

1991 წლის 8 მარტს, პარასკევს, დღის ორ საათზე საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სხდომათა დარბაზში უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივმოქმედი კომისია აწყობს შეხვედრას ჟურნალისტებთან. განიხილება პრესის შესახებ კანონპროექტისა და რეფერენდუმის საკითხები.

დასწრება თავისუფალია.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99.92.26;
წერილების რედაქცია 99.73.24.
იბეჭდება საგაზეთო
კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.
შეკვეთა [illegible]

საქართველოს რესპუბლიკა